ახალი განათლება

06-12.06.2019

№22 (856) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

5 ივნისი
გარემოს დაცვის მსოფლიო დღეა!

- ✓ ყოველწლიურად, ჰაერის დაბინძურების გამო 7 მილიონი ადამიანი იღუპება, მათ შორის 600 000 ბავშვია.
- ✓ ყველა ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს უსაფრთხო გარემოში.

17 ივნისს სკოლები სამეურვეო საბჭოებს აირჩევენ

17 ივნისს, საქართველოს საჯარო სკოლებში, თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოს – სამეურვეო საბჭოს რიგით მეხუთე არჩევნები ჩატარდება. სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია 5 ივნისს დაიწყო და 11 ივნისს დასრულდება. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, მოსწავლეთა მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა წარმომადგენელი, თვითმმართველობის მიერ არჩეული.

სამეურვეო საბჭოს წევრებს მშობლები და პედაგოგები ირჩევენ. ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმის უფლება აქვს. მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს, თითო მოსწავლეზე, ერთი ხმა აქვს. სკოლის სამეურვეო საბჭო ირჩევს სკოლის დირექტორს, მისი წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, ბიუჯეტს, ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას და ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს. სამეურვეო საბჭოში მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მშობლების არჩევა 3 წლის ვადით ხდება.

სკოლები სამეურვეო საბჭოში თანაბარი რაოდენობით ირჩევენ მშობლებსა და პედაგოგებს. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს უფლება სამეურვეო საბჭოში თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს. სამინისტრო მშობლებს მოუწოდებს, გააქტიურდნენ და დროულად გაიარონ რეგისტრაცია.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სამეურვეო საბჭოების არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, არჩევნების პროცესზე დაკვირვებას საქართველოს ყველა რეგიონში ახორციელებს. სამეურვეო საბჭოს არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით დასწრება სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებსაც შეუძლიათ, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, ჩაერთონ პროცესებში და თვალი მიადევნონ არჩევნებს, რეგისტრაცია სკოლის საარჩევნო კომისიაში უნდა გაიარონ.

ახლო მომავალში „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა იგეგმება, რომლის მიხედვითაც სამეურვეო საბჭოების უფლებები და როლი გაიზრდება.

ინფორმაცია

სასკოლო ექსკურსიებთან დაკავშირებით რეგულაციები გამკაცრდა

ბიოლოგიასა და ბუნებისმეტყველებაში 2019 წლის საუკეთესო მასწავლებლები გამოვლინდნენ

გვერდი 2

პროფესიული განვითარება

KEÇICI SƏNƏD QÜVVƏDƏDIR – SXEMDƏ HANSI DƏYIŞIKLIKLƏR HƏYATA KEÇIRILDI

Անցումային փաստաթուղթն ուժ մեջ է. Ինչ փոփոխություններ են իրականացվել Սխեմայի մեջ:

გვერდი 3

ინფორმაცია

სასკოლო ექსკურსიებთან დაკავშირებით რეგულაციები გამკაცრდა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინიციატივით, სასკოლო ექსკურსიებთან დაკავშირებით, ორგანიზატორებისთვის რეგულაციები გამკაცრდა და ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით დარეგულირდა ექსკურსიებში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

ახალი მიდგომით, სკოლას დაევალა გადამყვანი კომპანიისგან/ფიზიკური პირისგან მოითხოვოს მძღოლის კვალიფიკაციისა და ავტომანქანის ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლის დირექცია დაგეგმილი ექსკურსიის თარიღის, ლოკაციის, აქტივობების, მონაწილე არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პირების შესახებ სრულად უნდა იყოს ინფორმირებული. ექსკურსიის ორგანიზატორი/ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს მოსწავლის წარმომადგენელი, მასწავლებელი ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირი; ექსკურსიის ხელმძღვანელს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს მონაწილე მოსწავლეებისა და მშობლების მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია მონაწილე მოსწავლის სპეციალური საჭიროებების შესახებ. აუცილებელია ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდეს სრულწლოვანი პირი, რომელსაც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევა ექნება. ბავშვების კვების მიზნით, საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს სანიტარული პირობების დაცვით. ექსკურსიის განხორციელების წესის დაცვა სავალდებულოა როგორც სკოლის, ასევე მშობლების მიერ სასკოლო დროს ორგანიზებულ ექსკურსიებზე. აღნიშნული წესის დარღვევისას, გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხისმგებლობა.

აღნიშნული წესი უკვე დაეგზავნა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და სამინისტრო მოუწოდებს ყველა საჯარო და კერძო სკოლას, რომ აღნიშნული აქტის ყველა მუხლი ზედმიწევნით დაიცვან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, ჯერ კიდევ 2016 წელს, შეიმუშავა ექსკურსიების ორგანიზებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რაც ასევე სავალდებულო იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, თუმცა, არ ვრცელდებოდა მშობლების მიერ სასკოლო დროს ორგანიზებულ ექსკურსიებზე.

იხილეთ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესი

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესი (შემდგომ – წესი) განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების დაგეგმვის, განხორციელების, აგრეთვე მოსწავლეების, მათი წარმომადგენლების, მასწავლებლების და ექსკურსიის განხორციელებაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს.

2. ეს წესი ვრცელდება სკოლისა და მშობლების მიერ სასკოლო დროს ორგანიზებულ ექსკურსიებზე.

3. წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ექსკურსია – სკოლის მიერ გასართობი, შემეცნებითი-სასწავლო მიზნებისათვის სასკოლო დროს განხორციელებული აქტივობა, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა, მოსწავლის წარმომადგენელთა და მასწავლებელთა ტრანსპორტით გადაადგილებას მათ მიერ განსაზღვრულ ლოკაციაზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) ექსკურსიის ორგანიზატორი – სრულწლოვანი პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს ექსკურსიას. ორგანიზატორი შესაძლებელია იყოს მოსწავლის წარმომადგენელი, მასწავლებელი ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირი;

გ) ექსკურსიის ხელმძღვანელი – სრულწლოვანი პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს კონკრეტულ ექსკურსიაში და პასუხისმგებელია მგზავრობის პროცესში და ექსკურსიის ლოკაციაზე მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. ექსკურსიის ხელმძღვანელი შესაძლებელია ამავდროულად იყოს ექსკურსიის ორგანიზატორი;

დ) მოსწავლე – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ირიცხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ე) მოსწავლის წარმომადგენელი – მშობელი, მეურვე ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი;

ვ) სასკოლო დრო – სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლის მიერ ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობის დრო.

4. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. ექსკურსიის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის მოვალეობები

ექსკურსიის ორგანიზატორი/ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მგზავრობის პროცესში და ექსკურსიის ლოკაციაზე მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, რისთვისაც იგი გამოითხოვს და სკოლის დირექტორს/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ექსკურსიამდე არანაკლებ 10 დღით ადრე, წარუდგენს ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მძღოლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი კატეგორიის ავტომანქანის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ასლს, ინფორმაციას ექსკურსიის მიზნების, დაგეგმილი აქტივობების, მონაწილე პირების (მათ შორის, მცირეწლოვნების), პასუხისმგებელი პირების, ექსკურსიის თარიღისა და ლოკაციის შესახებ.

სკოლის დირექტორი/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი განიხილავს წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტებს და იღებს გადაწყვეტილებას ექსკურსიის განხორციელების შესახებ გონივრულ ვადაში.

ექსკურსიის ორგანიზატორი ვალდებულია მოსწავლეს, მის წარმომადგენელს და ექსკურსიაში მონაწილე სხვა პირებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ექსკურსიის თარიღის, ლოკაციის, დაგეგმილ ღონისძიებათა მიზნების, აქტივობების და მონაწილე და პასუხისმგებელი პირების შესახებ.

ექსკურსიის ორგანიზატორს უნდა ჰქონდეს მოსწავლის მშობლის წერილობითი თანხმობა ექსკურსიაში მოსწავლის მონაწილეობის შესახებ, თუ მოსწავლის წარმომადგენელი არ ახლავს მას ექსკურსიაზე.

ექსკურსიაში მონაწილე სრულწლოვან პირთა შორის უნდა იყოს სულ მცირე ერთი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევები.

ექსკურსიის ხელმძღვანელს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს მონაწილე მოსწავლეებისა და მშობლების მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია მონაწილე მოსწავლის სპეციალური საჭიროებების შესახებ.

მუხლი 3. ტრანსპორტირების წესი

მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ექსკურსიაზე ტრასპორტირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ იმ სატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც გავლილი აქვს ტექდათვალიერება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სატრანსპორტო საშუალებას უნდა მართავდეს შესაბამისი გამოცდილებისა და სათანადო კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე მძღოლი.

სატრანსპორტო საშუალებაში უნდა იყოს განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა.

მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას, მათი კვების მიზნით, საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს სანიტარიული პირობების დაცვით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთათვის ტრანსპორტირება უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი საჭიროების გათვალისწინებით.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბიოლოგიასა და ბუნებისმეტყველებაში 2019 წლის საუკეთესო მასწავლებლები გამოვლინდნენ

3 ივნისს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **ბერიკა შუკაკიძემ** 2019 წლის საუკეთესო მასწავლებლის კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვა. ბუნებისმეტყველების საგნის საუკეთესო პედაგოგი ხონის რაიონის სოფელ ივანდიდის სკოლის მასწავლებელი **იამზე ფანცულაია** გახდა, ბიოლოგიის საუკეთესო მასწავლებლის ტიტული კი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის სკოლის პედაგოგს, **თეა ნონიკაშვილს** ერგო.

თითოეულ გამარჯვებულს ცენტრის მიერ დაწესებული სპეციალური ჯილდო – ტიხრული მინანქრით შესრულებული ვერცხლის გულსაბნევი, პლანშეტური კომპიუტერები და პროექტორი გადაეცათ. გამარჯვებულებს პრიზები გადასცა გამომცემლობა „დიოგენემ“, დაცული ტერიტორიების სააგენტომ, ორგანიზაცია „ეკოვიჟენმა“, National geographic-მა და თბილისის ზოოპარკმა.

ცენტრმა გამოავლინა „დამსახურებული მასწავლებელიც“, რომელიც ქარელის რაიონის გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის პედაგოგი **ზინა კალმახელიძე** გახდა.

თითოეულ საგანში საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივაა. კონკურსის სხვადასხვა ეტაპის შედეგად, კომისიის მიერ შეირჩა საუკეთესო კანდიდატები. კომისიის წევრები დაესწრნენ თითოეული მათგანის გაკვეთილს, ჩაატარეს ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის წევრებთან, ასევე შეისწავლეს თითოეული მასწავლებელის პორტფოლიო.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2019 წელს ყველა საგანში გამოავლენს საუკეთესო მასწავლებელს. ასევე დაგეგმილია კონკურსი „წლის საუკეთესო სკოლის დირექტორებისთვის“. სპეციალური ჯილდოა განკუთვნილი იმ „დამსახურებული მასწავლებლებისათვის“, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ამ პროფესიის განვითარებაში.

ПРОФЕСИОНАЛЬНОЕ РАЗВИТИЕ

რა ცვლილებები განხორციელდა სქემაში

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ინტერვიუ პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილესთან, მანანა რატიანთან – „გარდამავალი დოკუმენტი ძალაშია – რა ცვლილებები განხორციელდა სქემაში“, რომელშიც განხილულია ახლად დამტკიცებული ცვლილებები პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. გთავაზობთ პასუხებს იმ შეკითხვებზე, რომლებიც არაძართულენოვანი სკოლების პედაგოგებს შეეხება და სქემაში შესულ იმ ძირითად ცვლილებებს, რომლებზეც მანანა რატიანმა ისაუბრა.

KEÇICI SƏNƏD QÜVVƏDƏDIR – SXEMDƏ HANSI DƏYIŞIKLIKLƏR HƏYATA KEÇIRILDI

Qəzetimizdə Peşəkar İnkişaf Milli Mərkəzinin direktor müavini Manana Ratiani ilə müsahibəni dərc edirik – "Keçici sənəd qüvvədədir – sxemdə hansı dəyişikliklər həyata keçirilmişdir". Sənəddə peşəkar inkişaf və karyera irəliləyişi sxemində yenicə təsdiq edilmiş dəyişikliklər nəzərdən keçirilir. Qeyri-gürcüdilli məktəb müəllimlərinə aid olan suallara cavabları sizə təklif edirik.

– Keçici sənədin əsasında, qeyri-gürcüdilli müəllimlər üçün fənn kompetensiyasının təsdiqi 2021-ci ildən baş verəcəkdir. Bu onu bildirirmi ki, onlar peşəkar inkişaf və statuslarını dəyişə biləcəklər?

– Etiraf etməliyik ki, qeyri-gürcüdilli məktəblərdə və şöbələrdə tədris edən müəllimlər digər müəllimlərlə bərabər şərtlərdə olmayacaqlar. Məhz buna görə də, indi qeyri-gürcüdilli müəllimlər üçün 2021-ci ilə qədər başqa yollarla statuslarını yaxşılaşdırmaq imkanını verən sənəd üzərində işləyirik. Biz onlara sentyabr ayından etibarən alternativ yollar təklif edəcəyik. İşlər intensiv şəkildə davam edir, prosesə nazirlik cəlb olunmuşdur və onlar üçün imtahanların müqabilində başqa növdə peşəkar inkişaf imkanları yaradılacaqdır. Düşünürəm ki, onların ədalətsiz şəkildə zərər görməmələri çox önəmlidir.

Dövlət 2010-ci ildən etibarən qeyri-gürcüdilli müəllimlərə həm peşəkar bacarıqlar və eləcə də fənn imtahanı üzrə imtahana çıxışı təklif edir. Onlar üçün fənn imtahanı testləri tərcümə edilmişdir, peşəkar bacarıqların imtahanını isə onlar gürcü dilində başa düşməli və sonra da ana dilində yazmalıdırlar. Bu, müəyyən çətinliyi təqdim edir, çünki bu təlimat hər kəs üçün asan deyil. Buna görə də onlar üçün edilən təkliflər vəziyyətə uyğun olmalıdır. Bunu bizim alternativ təklifimiz nəzərdə tutur. Amma heç bir halda kvalifikasiyadan imtina etmirik və plankanı (çubuğu) aşağı endirmirik, bununla yanaşı hərtərəfli dəstək verəcəyik ki, peşəkar cəhətdən inkişaf etsinlər və statuslarını da qaldırsınlar. Amma bu, imtahan deyil, imtahanın alternativləri olacaqdır, hərçənd imtahan adi yol kimi qalacaqdır.

– Onların peşəkar inkişafı yerlərindəmi baş verəcəkdir?

–Bunun haqqında danışmaq hələ tezdir, amma çox maraqlı təkliflərimiz vardır. İşçi sənədləri yaradan kimi, yerlərə gedəcəyik, müəllimlərlə və müdiriyyətlə müzakirələr aparacağıq. Sənəd üzərində işləyirik ki, məsələni dərhal həll edək, nazirliyin marağı da böyükdür və bu təklifimiz yaxın gələcəkdə hazır olacaqdır.

Sxemə daxil olan əsas dəyişiklikləri sizə təklif edirik və bunlar barəsində Manana Ratiani söylədi:

Statusun saxlanılmasına görə birinci dəyişiklik. Keçici sənəddə əks etdirilən dəyişikliklərə əsasən, müəllimin statusu 2020-ci ildə müəllimlər üçün tənzimləmə qaydasının fəaliyyətə düşdüyünə qədər saxlanılmış hesab ediləcəkdir.

İkinci dəyişikliyə əsasən, özünüqiymətləndirmə anketi tövsiyə xarakterli oldu. Müəllimin tələbatını təyin etmək üçün bu alətdən istifadə etməyi qərara alan məktəblər ondan istifadə edəcəklər, amma bunun öhdəlikləri olmayacaqdır.

Təcrübəçi müəllim üçün əlavə fəallıqlar üzrə 5-dən çox kreditin toplanılması haqqında məhdudiyyətlər aradan götürüldü. Dəyişikliyə əsasən, müəllim tərəfindən hazırlanmış müxtəlif resurs, həyata keçirdiyi bir neçə fəallıq, iştirak etdiyi bütün treninqlər və s. bunların hamısı tanınacaq və müəllim 5-dən çox kredit bal qazana biləcəkdir. Məhdudiyyət il ərzində işçi görüşlərin sayına da aid edilirdi, 3-dən çox işçi görüşdə iştirak etmək olmazdı. İndi bütün bunlar tanınır və məhdudiyyət də aradan qaldırılır.

Önəmli dəyişikliklər xüsusi məktəblərə də toxundu. Mərkəzin fərdi hüquqi aktı ilə xüsusi məktəblərə imkan verilir ki, öz nəzərlərinə uyğun olaraq (sadəcə mərkəzlə razılaşdırılmalıdır), dəyişiklikləri həyata keçirsinlər. İndi onlar modifikasiya edilmiş vasitələrdən istifadə edə biləcəklər ki, bunu da özləri modifikasiya edəcəklər, məktəb səviyyəsində olacaqdır, mərkəzləşdirilmiş olmayacaqdır. Mövcud kriteriləri konkret sinif otağında olan ehtiyaca və mövcud vəziyyətə uyğun olaraq modifikasiya edirlər. Müvafiq olaraq, alətləri məktəbin özü təsdiq edir və bunun vasitəsilə də müəllimi qiymətləndirir.

Sənəddə karyera irəliləyişi ilə bağlı önəmli dəyişikliklər yazılmışdır. Məlum olduğu kimi, dövlət, islahatlar çərçivəsində, təqaüd yaşında olan təcrübəçi müəllimlərə təqaüdə çıxmaları əvəzinə pul mükafatı təklif etdi. Onlar, bu təklifi seçdikləri halda, ya peşələrini tərk edir və ya mükafatdan boyun qaçırırlar, peşələrində qalır və imtahan verirlər. Ola bilsin ki, müəllim bu il ilk dəfə imtahana çıxdığı halda, növbəti pilləyə keçmək üçün kifayət qədər kredit balları toplaya bilməsin. Buna görə də, dəyişikliyə əsasən, təcrübəçi müəllimlər üçün kredit balların toplanılması müddəti **2020-ci ilin yanvar ayına** qədər uzadılmışdır. Müvafiq olaraq, payız semestrində onlar kredit balları toplamağı və statusun dəyişməsi üçün lazımi miqdarı doldurmağı davam etdirə biləcəklər. Bundan başqa, onların imkanları olacaq ki, yaxşılaşdırmaq və ya təkrar imtahan vermək üçün payızda elan edilən imtahanda bəxtlərini bir də sınaya bilsinlər. Bunda da statusu dəyişmək üçün lazımi kredit balların miqdarını toplaya bilməsələr, yenə də fəallıqlarla doldurmağı davam etdirəcəklər.

Təcrübəçi müəllimlər üçün kredit balların toplanılması və statusun yüksəldilməsi 2020-ci ilin yanvar ayına qədər davam edəcəkdir və kredit ballar da məhdudlaşdırılmayacaqdır.

Müəyyən dəyişiklik baş müəllim statusuna malik müəllimlərə də toxundu – aparıcı status əldə etməyi planlaşdıran və həm icbari, eləcə də əlavə fəallıqlarla 15 kredit bal toplayan müəllimlər üçün sentyabrda əlavə olaraq xarici müşahidə elan ediləcəkdir və bununla da onlara imkan veriləcəkdir ki, statuslarını 2020-ci ildə dəyişdirsinlər.

"Yeni məktəb modelinə" cəlb olunmuş ibtidai pillənin müəllimləri üçün yenilikdir. Onların intensiv işlədiklərinə görə dərs müşahidələri və işçi görüşləri tanınır. "Yeni məktəb modelinə" cəlb olunmuş müəllimlərə gördükləri iş üçün əlavə olaraq 6 kredit bal veriləcəkdir.

Անցումային փաստաթուղթն ուժ մեջ է. Ինչ փոփոխություններ են իրականացվել Սխեմայի մեջ:

Մեր թերթում տպագրվել է հարցազրույց Մասնագիտական զարգացման ազգային կենտրոնի փոխտնօրեն Մանանա Ռատիանիի հետ. «Անցումային փաստաթուղթն ուժի մեջ է. Ինչ փոփոխություններ են իրականացվել Սխեմայի մեջ», որում քննարկվել են Մասնագիտական զարգացման և կարիերային առաջընթացի սխեմայի մեջ կատարված և վերջերս հաստատված փոփոխությունները:

- Ըստ անցումային փաստաթղթի՝ ոչ վրացալեզու դպրոցների համար առարկայական իրավասությունների հավաստումը տեղի է ունենալու 2021 թվականից: Նշանակո՞ւմ է արդյոք դա, որ մինչ այդ նրանք չեն կարողանա մասնագիտական առումով զարգանալ և փոխել իրենց կարգավիճակը:

– Պետք է խոստովանենք, որ այն ուսուցիչները, ովքեր աշխատում են ոչ վրացալեզու դպրոցներում և բաժիններում, հավասար պայմաններում չեն մյուս ուսուցիչների հետ: Ճիշտ այդ պատճառով այժմ մենք աշխատում ենք փաստաթղթի վրա, որը ոչ վրացալեզու ուսուցիչներին մինչև 2021 թվականը հնարավորություն կտա այլ միջոցներով բարելավել իրենց կարգավիճակը: Մեր ցանկությունն է սեպտեմբերից նրանց այլընտրանքային ուղիներ առաջարկելը: Ինտենսիվ կերպով աշխատանք է ընթանում, գործընթացի մեջ ներգրավված է Նախարարությունը, և այդ ուսուցիչների համար կստեղծվեն քննություններին հավասարակշիռ այլ բնույթի մասնագիտական զարգացման հնարավորություններ: Կարծում եմ, դա անչափ կարևոր է, որպեսզի նրանք անարդար, անհավասար պայմաններում չլինեն:

2010 թվականից ի վեր, պետությունը ոչ վրացալեզու դպրոցների ուսուցիչներին քննություն հանձնելու հնարավորություն է տալիս ինչպես մասնագիտական ունակություններից, այնպես էլ առարկայի քննությունից: Նրանց համար թարգմանված են առարկայի քննության թեստերը, իսկ մասնագիտական ունակությունների թեստը նրանք պետք է հասկանան վրաց լեզվով և այնուհետև պատասխանը գրեն մայրենի լեզվով: Սա որոշակի դժվարություն է հանդիսանում, քանի որ այդ հրահանգը հասկանալը բոլորի համար չէ, որ հեշտ է: Ուստի, նրանց արվող առաջարկությունները պետք է իրավիճակին համարժեք լինեն: Ճիշտ այդ է ենթադրում մեր այլընտրանքային առաջարկը: Սակայն, ոչ մի դեպքում չենք հրաժարվի որակավորումից և պահանջվող հաղթահարվելիք շեմը չենք իջեցնի, սակայն, բազմակողմանիորեն կնպաստենք, որ մասնագիտական առումով զարգանան և նաև՝ բարձրացնեն իրենց կարգավիճակը: Բայց դա չի լինի քննություն, այլ կլինի քննությանը այլընտրանք, սակայն, քննությունը ևս կմնա կարգավիճակի բարելավման սովորական ուղիներից մեկը:

– Նրանց մասնագիտական զարգացումը տեղերո՞ւմ կիրականացվի:

– Այդ մասին խոսելը դեռ վաղ է, սակայն բավականին հետաքրքիր առաջարկություններ կներկայացնենք նրանց: Հենց որ աշխատանքային փաստաթուղթը կստեղծենք, կգնանք տարածաշրջաններ, կկազմակերպենք քննարկումներ ուսուցիչների և դպրոցների վարչակազմերի հետ: Փաստաթղթի վրա արդեն աշխատում ենք և, քանի որ հարցն անհապաղ որոշում է պահանջում, մեծ է նաև Նախարարության հետաքրքրությունը, այս առաջարկը մոտ ապագայում պատրաստ կունենանք:

Առաջարկում ենք Սխեմայում կատարված հիմնական փոփոխությունները, որոնց մասին խոսեց Մանանա Ռատիանին.

Առաջին փոփոխությունը վերաբերեց կարգավիճակի պահպանմանը: Այն փոփոխությամբ, որն արտացոլվեց անցումային փաստաթղթում, ուսուցիչների կարգավիճակը կհամարվի պահպանված, մինչև 2020 թվականին ուժի մեջ չմտնի Ուսուցիչների կանոնակարգման կարգը:

Երկրորդ փոփոխությամբ ինքնագնահատման հարցաշարը դարձել է երաշխավորական բնույթի: Այն դպրոցները, որոնք կորոշեն այս գործիքը կիրառել ուսուցիչների կարիքները սահմանելու համար, այն կկիրառեն, սակայն, դրա պարտավորություն չեն ունենա:

Չեղարկվել են գործող ուսուցիչների համար սահմանված սահմանափակումները, որոնք վերաբերում էին լրացուցիչ ակտիվությունների համար 5 կրեդիտ-միավորից ավելին հավաքելուն: Փոփոխության համաձայն, եթե ուսուցիչը ստեղծել է տարբեր ռեսուրսներ, իրականացրել բազմաթիվ ակտիվություններ, մասնակցել է թրեյնինգների և այլն, դա կճանաչվի որպես կրեդիտ -միավոր, և նա կկարողանա հավաքել 5-ից ավելի կրեդիտ-միավոր: Սահմանափակումը տարածվում էր նաև տարվա ընթացքում աշխատանքային հանդիպումների քանակի վրա, չէր կարելի մասնակցել 3-ից ավելի աշխատանքային հանդիպման: Այժմ այս ամենը ճանաչվում է, և քանակային սահմանափակումն էլ հանվել է:

Նշանակալի փոփոխություն կա հատուկ դպրոցների առումով: Կենտրոնի անհատական իրավական ակտով հատուկ դպրոցներին հնարավորություն է տրվել փոփոխություններ իրականացնել ըստ իրենց հայեցողության (ուղղակի, Կենտրոնի հետ պետք է համաձայնեցնեն): Այժմ նրանք կկարողանան ձևափոխված գործիքներ կիրառել, որոնք հենց իրենք կձևափոխեն, և դա ոչ թե կենտրոնացված կկատարվի, այլ՝ դպրոցների մակարդակով: Գոյություն ունեցած չափանիշները կձևափոխեն ըստ այն կարիքների և առկա իրավիճակի, որը կլինի կոնկրետ դասասենյակում: Համապատասխանաբար, գործիքները կհաստատի ինքը դպրոցը և այնուհետև դրա միջոցով կգնահատի աշակերտներին:

Փաստաթղթում նշանակալի փոփոխություններ են ընդգրկվել՝ կապված կարիերային առաջընթացի հետ: Ինչպես հայտնի է, բարեփոխման շրջանակներում, կենսաթոշակային տարիքի ուսուցիչներին պետությունը կենսաթոշակի անցնելու դիմաց առաջարկել է դրամական պարգև: Նրանք այս առաջարկն ընտրելու դեպքում մասնագիտությունից դուրս են գալիս կամ հրաժարվում են պարգևից, մնում են մասնագիտության մեջ և քննություն են հանձնում: Եթե ուսուցիչն այս տարի առաջին անգամ է հանձնելու քննությունը, հնարավոր է, որ չկարողանա լրիվ հավաքել բավական կրեդիտ-միավորներ՝ հաջորդ աստիճան անցնելու համար: Ուստի, համաձայն փոփոխության, գործող ուսուցիչների համար կրեդիտ-միավորներ հավաքելու ժամկետը երկարաձգվել է մինչև **2020 թվականի հունվար:** Համապատասխանաբար, աշնանային կիսամյակում նրանք կկարողանան կրեդիտ-միավորներ հավաքել և լրացնել կարգավիճակի փոփոխման համար անհրաժեշտ քանակը: Բացի այդ, նրանց հնարավորություն է տրվում աշնանը հայտարարված քննությանը կրկին փորձել իրենց բախտը՝ բարելավելու կամ կրկին հանձնելու համար, եթե այդ ժամանակ ևս չկարողանան հավաքել կարգավիճակը փոխելու համար անհրաժեշտ կրեդիտ-միավորների քանակը, կրկին կշարունակեն այն լրացնել ակտիվություններով:

Գործող ուսուցիչների համար կրեդիտ-միավորներ հավաքելը և կարգավիճակը բարձրացնելը կշարունակվի մինչև 2020 թվականի հունվար, և կրեդիտ-միավորներն էլ այլևս չեն սահմանափակվի:

Որոշակի փոփոխություն կա նաև ավագ ուսուցչի կարգավիճակ ունեցող ուսուցիչների համար: Այն ուսուցիչների համար, ովքեր մտադիր են ստանալ առաջատար ուսուցչի կարգավիճակ և հավաքած կունենան 15 կրեդիտ-միավոր ինչպես պարտադիր, այնպես էլ լրացուցիչ ակտիվություններով, սեպտեմբերին կրկին կհայտարարվի արտաքին դիտարկում, ինչով նրանց հնարավորություն կտրվի 2020 թվականի համար փոխել իրենց կարգավիճակը:

Նորություն կա «Նոր դպրոցի մոդելի մեջ» ներգրավված տարրական աստիճանի ուսուցիչների համար: Քանի որ նրանք ինտենսիվ կերպով աշխատել են, ճանաչվում են նրանց դասերի դիտարկումները և աշխատանքային հանդիպումները: «Նոր դպրոցի մոդելի մեջ» ներգրավված ուսուցիչները իրականացված գործունեության համար կստանան լրացուցիչ 6 կրեդիտ-միավոր:

ლიტერატურის სწავლებისთვის

ზღაპრის ეფექტიანობა დაწყებით საფეხურზე

ბოლო წლებში მიმდინარე განათლების რეფორმის საფუძველზე, მნიშვნელოვნად შეიცვალა წარმოდგენა სასკოლო განათლების შესახებ, აქტუალური გახდა ბავშვზე ორიენტირებული სწავლება, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, მეთოდების, სტრატეგიებისა და რესურსების მაქსიმალურ მორგებას ბავშვის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე.

ცნობილია, რომ ლიტერატურულ ჟანრებს შორის (ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი), დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები უპირატესობას მაინც ზღაპარს ანიჭებენ. რატომ ხდება ასე? რატომ არის განსაკუთრებით საინტერესო ეს ჟანრი უმცროსკლასელთათვის?

დამეთანხმებით, რომ ზღაპრის შინაარსი მდიდარია თავგადასავლებით, რაც ამ ასაკის ბავშვის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. დაწყებით ასაკობრივ საფეხურზე მოსწავლე მხატვრულ ლიტერატურას, ძირითადად, შინაარსის მხრივ აღიქვამს. მხატვრული ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ერთიანობა ქმნის შინაარსის ესთეტიკურ მომენტს, რომელიც ბავშვის მიერ მხატვრული ნაწარმოების – ამ შემთხვევაში ზღაპრის ესთეტიკურად აღქმის წინაპირობაა.

ზღაპრის გარეშე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ბავშვის მეტყველება და აზროვნება, როგორც ადამიანის აზროვნებისა და მეტყველების გარკვეული საფეხური.

ზღაპრის უპირველესი ნიშანი ფანტასტიკაა, უცნაურობა, სენსაციურობა, უცნაურის ზემოქმედების ძალა, ამიტომაც ზღაპარი ბავშვის შემოქმედებითი წარმოსახვის, მისი ფანტაზიის განვითარების საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ზღაპარი მას რეალობისგან აშორებს. პირიქით, ზღაპარი ეხმარება სინამდვილის უკეთ შეცნობაში. ბავშვი ხომ, თავისი გუნებით, მკვლევარი, ცნობისმოყვარე, მეოცნებე და შემოქმედია. არ შეიძლება წავართვათ მას სულიერი ცხოვრების სიხარული, მოზარდის სულიერი ცხოვრება კი მაშინაა სრულფასოვანი, როდესაც ის ფანტაზიისა და შემოქმედების სამყაროშია მოქცეული. დაწყებით საფეხურზე მეტად აქტუალურია მოზარდთა შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, სწორედ ამ ასაკობრივ საფეხურზე ამოუწურავია ბავშვის ფანტაზია, ის ცდილობს გამომსახველობითი ხერხების შეგნებულად ძიებას. ამ ასაკში მოზარდის მეტყველებას, როგორც დიმიტრი უზნაძე ამბობდა, არ ახლავს „შემოქმედების ტანჯვა“, ამიტომ ბავშვები თამამად თხზავენ ზღაპრებს, არც ცალკეულ სიტყვებსა და ფრაზებს უკვირდებიან, რათა ტექსტი უფრო ხატოვანი და ემოციური იყოს, ფანტაზიას უსაზღვრო გასაქანს აძლევენ. ზღაპრის შეთხზვა კი, ეხმარება ისეთი უნარების განვითარებაში, როგორიცაა, მაგალითად, აქტიურ-ესთეტიკური შემოქმედება, რომელიც მოიცავს ბავშვის სულიერი სამყაროს ყველა სფეროს – გონებას, გრძნობებს, წარმოსახვას. ამავდროულად, ზეპირი მეტყველების განვითარებასთან ერთად, ისინი ივითარებენ საკუთრივ წერითი მეტყველების უნარებს.

ზღაპარი საგაკვეთილო პროცესს ხალისს მატებს. მოსწავლეები ეჩვევიან ზღაპრის გმირების ქცევის შეფასებას, შედარებას, დაპირისპირებას, ცდილობენ გაითამაშონ როლები (ცხადია, პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებები, გასაგები უნდა იყოს შერჩეული ზღაპრების შინაარსი), რაც ცხადყოფს, რომ ეს არა მარტო მათი ფანტაზიის თამაშია, არამედ აზროვნების მხატვრული ელემენტიცაა – ზღაპრულ სახეებში ბავშვი ხედავს რაღაც სხვას, თავისებურს, მასში აქსოვს აღქმის, წარმოსახვის, აზროვნების ნიშნებს. ისინი უსაზღვრო სიხარულს განიცდიან, როდესაც აღიქვამენ გარე სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს და თავისი ფანტაზიიდანაც რაღაცას უმატებენ. აღქმის ემოციური დატვირთვა შემოქმედების სულიერი საზრდოა, რადგან ზღაპარი შთააგონებს ისეთი დადებითი თვისებების გაანალიზებას, როგორიცაა სიკეთე, გულისხმიერება, საზრიანობა, შეუპოვრობა, გაბედულება და სხვ.

თამარ ბერიძე
სსიპ ბათუმის №17 საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასის მასწავლებელი

ლიტერატურის სწავლება და პრობლემები

ლიტერატურის სწავლების მიზანია მოსწავლემ პიროვნული გამოცდილების საფუძველზე გაიაზროს და შეაფასოს მხატვრულ ტექსტებში ასახული ცხოვრებისეული პრობლემები. როგორ ვასწავლოთ ლიტერატურა ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს არა მარტო ტექსტის გაგება, არამედ გაეღვიძოს თვითშემეცნების სურვილი?

ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებს თითოეული ეპოქა თავისი რეალობის ჭრილიდან განიხილავს. ამიტომ, ის მუდმივად თხოულობს გადაფასებას. გადაფასებას მოითხოვს სწავლების სტილიც. პირადი პრაქტიკული გამოცდილების შედეგად, აღმოვაჩინე რამდენიმე ფაქტორი, რაც განსაკუთრებით უშლის ხელს ახალი გამოწვევების დაძლევას.

ქართული ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი პრობლემა დროის დეფიციტია. საგაკვეთილო პროცესში, უმეტეს შემთხვევაში, სასწავლო აქტივობა შემოიფარგლება ტექსტის შინაარსის დამუშავებით, ავტორის მწირი ბიოგრაფიის გაცნობით და ნაწარმოების პერსონაჟების დახასიათებით. ამიტომაც, ანალიტიკური უნარების გასააქტიურებლად, დრო თითქმის აღარ რჩება. მხოლოდ ტექსტის შინაარსის დამახსოვრება აკნინებს ლიტერატურის მნიშვნელობას. წაკითხული ლიტერატურული ნაწარმოების თანამედროვე აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირება აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხია. სწორედ ესაა ლიტერატურის დანიშნულება. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ამას იმიტომ ვერ ვახერხებთ, რომ არ გვაქვს საკმარისი დრო.

დროის დეფიციტის გარდა, პრობლემა მოსწავლეებთან მუშაობაშიც არის. დღესდღეობით ისინი ნაკლებად ინტერესდებიან წიგნებით. ტექნოლოგიურმა პროგრესმა მეორე პლანზე გადაანაცვლა წიგნი. კითხვის ინტერესის შემცირება კი, ლიტერატურის შესწავლის მოტივაციაზეც აისახება. ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ საბჭოთა განათლების სინდრომითაა დამუხტული, სტერეოტიპებით აზროვნება სწორედ მისი პროდუქტია. სწორედ ამ დამაფიქრებელი მიზეზების გამო, უჭირთ მოსწავლეებს თავისუფალი აზროვნება.

მესამე მნიშვნელოვანი პრობლემა ლიტერატურის მასალის მოცულობაა – სავალდებულო ჩამონათვალი გაცილებით აღემატება შესწავლისთვის გამოყოფილ დროს.

მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ გრამატიკას და სტილის კანონებს არ ეთმობა საკმარისი დრო. ახალი ეროვნული გეგმის მიხედვით, შეიცვალა მიდგომა, თუმცა მდგომარეობა ჯერ კიდევ უცვლელი დარჩა. აუცილებელია სასწავლო მასალა ისეთი დამხმარე ლიტერატურით შეივსოს, რომელიც ახლოს იქნება მოსწავლეების სულიერებასა და დღევანდელობასთან. ადამიანს ზრდის თანამედროვე ლიტერატურაზე ფიქრი, ამიტომაც, კარგი იქნება, თუ მოსწავლეები თანამედროვე მწერლობასაც შეისწავლიან.

საბოლოოდ, დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემები მხოლოდ ჩემი აღმოჩენილი არ არის, „ევრიკას“ ამიტომაც ვერ დავიძახებ. ვიცი, რომ ჩემზე გამოცდილი და საუკეთესო პედაგოგები, კოლეგები, ამ ჩამონათვალს კიდევ ბევრ ნიშანდობლივ საკითხს დაუმატებენ.

ლელა ფხოველიშვილი
წნორის №3 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წელი – ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტი;
2. ახალი განათლება – „სავალდებულო მინიმუმი“ თუ „საოცნებო მაქსიმუმი“ – ლიტერატურის სწავლება სკოლებში
http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=555

„დიდი იოსები“ – მარგინალურ პერსონაჟში განსხეულებული ეპოქა

მარგინალობის (ლათ. margin) ცნებით, ჩვეულებრივ აღინიშნება ის ინდივიდები თუ ჯგუფები, რომელთა ფასეულობები და ქცევის მოდელები ზუსტად და მკაფიოდ არ თავსდება რომელიმე კულტურულ სივრცეში და ქმნის გარდამავალ საფეხურს ამ სივრცეებს შორის. კულტურული მარგინალობის პრობლემის შესწავლა, ამერიკულ სოციოლოგიაში, XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, როცა ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლის, რობერტ ე. პარკის მიერ შემოთავაზებულ იქნა ტერმინი „მარგინალური“ პიროვნება – იმიგრანტთა კულტურული სტატუსისა და თვითშეგნების აღსანიშნავად.

ევროპულ ლიტერატურაში ტერმინ „მარგინალურის“ გამოყენება XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან იწყება. აქ იგი რამდენადმე განსხვავებულ დატვირთვას იძენს. მისი სემანტიკა ლათინურ სიტყვას – „მარგინალს“ (განაპირა, კიდეზე მდებარე) უკავშირდება, რომელიც აღნიშნავდა შენიშვნებს ან ნახატებს წიგნის მინდვრებზე. დროთა განმავლობაში, ტერმინმა სოციოლოგიური და ლიტერატურული მნიშვნელობის გარდა, კულტუროლოგიური დატვირთვაც მიიღო. რადგანაც ადამიანის არსებობის ყველა ასპექტის ჩვენება და გამოაშკარავება ლიტერატურამ იტვირთა და შეითავსა ყველა სხვა მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის ფუნქციები, სინამდვილის ასახვის ნაირგვარობამ, გადმოსაცემი ამბის გამომხატველი ხერხების სიმრავლემ ვერსად ვერ მიჩქმალა მარგინალობის, როგორც პრობლემის არსებობა და ლიტერატურულმა აზროვნებამ, ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო მასალა შემოინახა.

ქართული ლიტერატურის ყველა პერიოდის ნაწარმოებები იცნობენ და ინახავენ მარგინალურ პერსონაჟებს, მწერლობის განვითარების ადრეული ეპოქებიდან თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებამდე. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მარგინალურ ადამიანებს კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები ააშკარავებენ და ამოატივტივებენ თვალსაწიერზე. პრობლემა განზე გამდგარი (თუ გარიყული) ადამიანებისა მრავალჯერ დამუშავებულა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, მაგრამ ამჯერად შევეცდებით, მკითხველის ყურადღება სასკოლო პროგრამაში შესულ ნაწარმოებზე, კონსტანტინე გამსახურდიას უბრწყინვალეს ნოველაზე შევაჩეროთ.

„დიდი იოსები“ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაიწერა და მასში ასახულია 1921 წლის 24 თებერვლის ღამე და წითელი არმიის შემოსვლის შემდგომი პერიოდი. კონსტანტინე გამსახურდია მისთვის დამახასიათებელი, თემის, პრობლემის სიმძაფრის, ღრმა ფსიქოლოგიზმის, ენობრივი და მხატვრული პლასტების მრავალფეროვნებისა და ნაწარმოების კონსტრუირების თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესო ნოველას ქმნის, რომელშიც, ლიტერატორ გ. კანკავას თვალსაზრისით, ნიცშეანელობისა და ექსპრესიონიზმის ნაერთი იკითხება. საფუძველშივე განსხვავებული ცნებები, ნოველის ეროვნულ და ეპოქალურ ხასიათს განსაზღვრავს.

დიდ იოსებს მარგინალურ ადამიანად, უპირველესად, საკუთარი ძმისშვილები გადააქცევენ: *„არა ერთხელ შეეცადნენ ლენჩად გამოეცხადებინათ და ფარდაგის ოდენა მიწის ნაგლეჯი წაერთმიათ მისთვის“.* და მაინც, რა გავლენას ახდენს ეპოქა ამ პერსონაჟზე? ნოველის I თავში, ქალაქის დასატოვებლად გამზადებულ ოჯახში, „უსაზმნო“ სიმდიდრე გაივლის იოსების ხელში. წამსვლელთათვის ბარგის ჩალაგებაში მიშველებულს, ვერც ერთი ძვირფასი ნივთი ვეღარ სჭრის თვალს, თუმცა რამდენიმე ეპიზოდის შემდეგ, ჩვენდა გასაკვირად, ადამიანი, რომელიც *„მთელი თავისი სიცოცხლე, პატიოსანი ოფლით მონაპოვარ პურსა სჭამდა და არასდროს სხვისი საკუთრებისკენ ხელი არ გადასცდენია...“* სადგურის ქუჩაზე, გაძარცულ მაღაზიაში დაყრილ, დაჭმუჭნილ ათასმანეთიანებს მიისაკუთრებს.

სწორედ აქ იწყება იოსების გარდასახვა, დაჭმუჭნილი ათასმანეთიანების შემდეგ მესაკუთრის თვალით უყურებს სოლოლაკში მდებარე მდიდრულ სახლს, ავეჯსა და ჭურჭელს, მესაკუთრის პოზიციით აღიქვამს ჩოხა-ახალუხსაც და ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გარიყული ადამიანი, ახლა ჩოხა-ახალუხისა და ჯიშიანი ძაღლის გავლენით, მამამისის ბატონს, წერეთელს ადარებს თავს.

მწერალი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას სახლის უქონლობის, უსახლ-კარობის, როგორც დაკარგული იდენტობის პრობლემაზე. სახლის უქონლობის კომპლექსი იოსების ყველა ნამოქმედარსა და ნაფიქრში ვლინდება და მის ცნობიერში თუ ქვეცნობიერში შრევდება, სიზმრებად და მოლანდებებად. ამის დასტურად, თუნდაც რკინის მანეკენი გამოგვადგება, სახლის ერთ-ერთ კუთხეში, იოსების სინდისის შემანჯღრეველად მდგარი.

ეპოქის გავლენით მოპოვებული სიმდიდრე ისევ ეკარგება იოსებს, გასაბჭოებულ საქართველოში მეკურტნის ადგილი არ რჩება და სახლ-კარზე მეოცნებე პერსონაჟი უსულგულო ადამიანების ბინძურ მაქინაციებში ერთვება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უდავოდ საინტერესო და შთამბეჭდავია ეპოქის სურათებში ჩაშლილი, მარგინალური ადამიანის ყოფის ასახვა და კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ეს შეკუმშული სიუჟეტი, რომელიც უპრობლემოდ გადასწვდებოდა რომანის სივრცეებსაც, ეს დიდი ამბები დიდ ადამიანებზე, წარუშლელ კვალს ტოვებს მკითხველის გონებაში.

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და საბედისწერო ამბების ფონზე გაშლილი ერთი უბრალო მეკურტნის ცხოვრება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მწერალი გვამახსოვრებს და გვაცოდებს, დროის მცირე მონაკვეთში, ფსიქოლოგიურად მკვეთრად ტრანსფორმირებულ პერსონაჟს, რომლის ცხოვრებაც ორ ნაწილად იყოფა – 24 თებერვლის ღამემდე და 25 თებერვლის შემდეგ. ნოველის ქარგა, რომელიც ქვეყნის უბედობის ფონზე განვითარებულ ადამიანურ ტრაგედიას მოგვითხრობს, სხვა უმნიშვნელოვანეს ასპექტებსაც მოიცავს, განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად, ამ შემთხვევაში, ნოველის იმ მონაკვეთებს მივიჩნევ, სადაც მწერალი კულტურის, როგორც აბსტრაქციის, მკვეთრ ცვლილებაზე მოგვითხრობს.

ეკატერინე ფანგანი
წალკის მუნიციპალიტეტის ბარეთის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. გიგანი. ნ., სადისერტაციო ნაშრომი – „კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები“. თბილისი. 2010წ;
2. მაღლაკელიძე ნ. – ქართული ენა და ლიტერატურა. „მერიდიანი“. 2011წ.

ლიტერატურის სწავლებისთვის

„ყივჩალის პაემანი“ და „შემომეყარა ყივჩალი“ – შედარებითი ანალიზი

გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის თემა	გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“ და ხალხური „შემომეყარა ყივჩაღი“ – შედარება-ანალიზი
სწავლების საფეხური და კლასი	საშუალო საფეხური მე-12 კლასი
მასწავლებლის სახელი, გვარი	მარეხ ლიკლიკაძე
მოსწავლეთა რაოდენობა	11
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა	სსსმ მოსწავლე არ არის
მოსწავლეთა წინარე ცოდნა	მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ ხალხური „შემომეყარა ყივჩაღი“ და გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“, ასევე იციან ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლების ისტორია. ტექსტიდან შეუძლიათ მხატვრული ხერხების გამოყოფა. ახერხებენ ტექსტის ლიტერატურულ ანალიზს. **სსსმ მოსწავლეებს მოსმენილი აქვთ ორივე ლექსის ვიდეოვერსია და მოძიებული აქვთ ყივჩაღების ჩამოსახლების შესახებ ინფორმაცია.**
გაკვეთილის სასწავლო მიზნები და შედეგები	მოსწავლეები: • გამოკვეთენ ორივე ლექსიდან ყივჩაღის სახეს და გვაჩვენებენ მას სხვადასხვა კუთხით; • შეადარებენ ერთმანეთს ხალხურ და გიორგი ლეონიძის ლექსებს და ისაუბრებენ მსგავსება-განსხვავებაზე; • ლექსიდან „ყივჩაღის პაემანი“, მოძებნიან მხატვრულ ხერხებს, მოახდენენ ტექსტის იდეურ-მხატვრულ ანალიზს; • გამოიმუშავებენ არგუმენტირებული მსჯელობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს.
ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები/ ინდიკატორები	**ქართ. XII.5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • მსჯელობს ავტორის/პერსონაჟის ფასეულობებზე და შეხედულებებზე, რომელთაც ისინი ავლენენ ტექსტში განვითარებულ კონფლიქტთან მიმართებაში. **ქართ.XII.8. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ენის სხვადასხვა ასპექტების გაანალიზება.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • წაკითხულ ნაწარმოებში ამოიცნობს მხატვრულ სახეებს; • განასხვავებს პოეტურ ხედვას („როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი...“), გაიაზრებს კონკრეტული მხატვრული სახის ღირებულებას მხატვრულ სახეთა შორის. **ქართ.XII.9. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს, რა გავლენას ახდენს ავტორის ენობრივი არჩევანი მკითხველზე.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • საუბრობს იმ მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზე, რომელთა მეშვეობითაც, ნაწარმოებში გამოიკვეთება ავტორის/პერსონაჟის ნეიტრალური, არაორდინარული და სტერეოტიპური დამოკიდებულებები კონკრეტული პრობლემის მიმართ **ქართ.XII.13. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დაწერა.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • განსაზღვრავს ნაწარმოების კონცეპტუალურ იდეას; • თავისუფლად ახერხებს ტექსტის ანალიზის ორგანიზება-სტრუქტურირებას; • აანალიზებს ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს; • ნაწარმოებიდან, საკუთარი არგუმენტების დასასაბუთებლად, იყენებს ციტატებს.
თანმიმდევრობა/ აქტივობები და დრო	**I ფაზა – გამოწვევა** **1. მისალმება – თემის, მიზნისა და შეფასების რუბრიკების გაცნობა (2წთ)** **2. საშინაო დავალების გაცნობა (5წთ)** მოსწავლეები წაიკითხავენ წინასწარ მოძიებულ ლექსებს (ხალხური ლექსის „შემომეყარა ყივჩაღი“, შთაგონებით შექმნილს) **3. მხატვრული კითხვა (3წთ)** ერთი მოსწავლე კლასს გაახსენებს ხალხურ ლექსს „შემომეყარა ყივჩაღი“ და ხმამაღლა წაიკითხავს. **4. გონებრივი იერიში (3წთ)** მოსმენილი ლექსის და წინასწარ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, რისი თქმა შეგვიძლია ყივჩაღების შესახებ? რა ემოცია გამოიწვია თქვენში ყივჩაღის სახემ? **5. ვიზუალური დაკვირვება (3წთ)** მოსწავლეები მოისმენენ გიორგი ლეონიძის ლექსის „ყივჩაღის პაემანი“ ვიდეოვერსიას. **II ფაზა** **6. მინი-ლექცია (3წთ)** მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ლექსების თემაზე, უკავშირებს ამ ორ ლექსს ერთმანეთს და ამახვილებს ყურადღებას ლექსების მხატვრულ ღირებულებაზე. **7. ჯგუფური მუშაობა (7წთ)** მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ორ ჯგუფად: I ჯგუფი – ამოიწერენ ლექსიდან „ყივჩაღის პაემანი“ მხატვრულ ხერხებს, სახე-სიმბოლოებს; იმსჯელებენ რატომ ახსენებს ავტორი რუსთაველს და რა შესძინა ლექსს ამ ალუზიამ. II ჯგუფი – შეადარებენ ერთმანეთს ლექსებს „ყივჩაღის პაემანი“ და „შემომეყარა ყივჩაღი“. ვენის დიაგრამის გამოყენებით ამოიწერენ ლექსებიდან მსგავსება-განსხვავებებს. **8. პრეზენტაცია (5წთ)** ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ, თითოეული ჯგუფიდან, ერთი მოსწავლე აკეთებს ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს პეზენტაციას. **III ფაზა** **9. დისკუსია (10წთ)** **მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვას: თქვენი აზრით, არის თუ არა ყივჩაღი მოძალადე?**
	მოსწავლეები დაიცავენ ორ სხვადასხვა პოზიციას და ლექსებიდან დაიმონმებენ ციტატებს. 1. ყივჩაღი – მოძალადე/სიყვარულისათვის მებრძოლი გმირი. **10. სათადარიგო აქტივობა** – „ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება“ მოსწავლეები ინდივიდუალურად დაწერენ, რა შთაბეჭდილება დარჩათ ლექსების წაკითხვის შემდეგ. **11. შეფასება (3წთ)** **12. საშინაო დავალება** მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, სახლში დაწერონ ყივჩაღის სახე-სიმბოლო ქართულ პოეზიაში (**1წთ**)
შეფასება	• მიმდინარე განმსაზღვრელი (შეფასების სქემები) • მიმდინარე განმსაზღვრელი-განმავითარებელი • ურთიერთშეფასება
საკლასო მენეჯმენტი	• მთელი კლასი • ჯგუფური • ინდივიდუალური
საგანმანათლებლო რესურსები	• მე-12 კლასის ქართულის სახელმძღვანელო • თაბახის თეთრი ფურცლები • კალმები, მარკერები • დაფა • სკოჩი • შეფასების რუბრიკა • ფლიპჩარტის ქაღალდი • კომპიუტერი • პროექტორი • ფლეშკა (მეხსიერების ბარათი) • ბარათები

შეფასების რუბრიკა

№	შეფასების კრიტერიუმები	10-9-8	7-6	5-1
1.	**საშინაო დავალების სრულყოფილად მოძიება და წარმოდგენა**	საშინაო დავალება სრულყოფილად აქვს მოძიებული და წარმოადგენს გარკვევით.	საშინაო დავალება ნაწილობრივ აქვს მოძიებული და ვერ წარმოადგენს სრულყოფილად.	დავალება არ აქვს მოძიებული და ვერ წარმოადგენს აუდიტორიის წინაშე.
2.	**ჯგუფურ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა**	აქტიურად არის ჩართული მუშაობაში.	უჭირს ჯგუფთან კონტაქტში შესვლა.	ვერ თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან.
3.	**საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოდგენა**	ჯგუფური მუშაობის დროს, გამოთქვამს საკუთარ აზრს და ასაბუთებს.	ჩართულია ჯგუფურ მუშაობაში, გამოთქვამს საკუთარ აზრს, მაგრამ ვერ ასაბუთებს.	უჭირს ჯგუფთან თანამშრომლობა, არ აქვს საკუთარი აზრი.
4.	**სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება**	ისმენს სხვის აზრს, პატივს სცემს და იზიარებს მას, ითვალისწინებს სხვის აზრს მუშაობის პროცესში.	ისმენს სხვის აზრს, მაგრამ ყოველთვის არ ითვალისწინებს, არ სცემს პატივს.	ისმენს სხვის აზრს, მაგრამ არ ითვალისწინებს.
5.	**გამართული საუბარი**	საუბრობს გამართულად, საინტერესოდ, დარწმუნებით.	საუბრობს გამართულად, მაგრამ უინტერესოდ, უჭირს აუდიტორიის დარწმუნება.	საუბრობს გაუგებრად, იმეორებს ერთსა და იმავეს, ვერ არწმუნებს აუდიტორიას.
6.	**თემის გასაგებად წარმოდგენა**	პრეზენტაციის თემა ლოგიკურადაა აგებული, წარმოდგენილი საკითხი გასაგებია, დაცულია ლოგიკური თანმიმდევრობა.	თემა ნაწილობრივ გასაგებია, მოითხოვს განმარტება-დაზუსტებას, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია.	თემა გაურკვეველია, თანმიმდევრობა დარღვეულია.

მარეხ ლიკლიკაძე
სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის
სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

„ყივჩაღის პაემანი“



„შემომეყარა ყივჩაღი “

სოციალური პროექტი

თანამედროვე მეთოდებით სწავლება – „გაიზიარე წარმატება“

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, ჩვენს წინაშე უდიდესი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები და ზღვა ინფორმაციაა. სწორედ ამიტომ სტრატეგიულ მიმართულებად უნდა გავხადოთ პიროვნებაზე ორიენტირებული განათლება. შესაბამისად, პედაგოგთა უმთავრესი საზრუნავი სწავლების მრავალფეროვანი, ინოვაციური მეთოდების დანერგვაა. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project Based Learning). თუ აქტუალურ ტენდენციებს მივადევნებთ თვალს, ვნახავთ, რომ მისი როლი სასკოლო ცხოვრებაში დღითი დღე იზრდება. როგორც ცნობილია, პროექტული მიდგომა, ძირითადად, მაშინ გამოიყენება, როდესაც პრობლემაა გადასაჭრელი.

ვფიქრობ, ჩემ მიერ განხორციელებული სოციალური პროექტი „გაიზიარე წარმატება“ საინტერესო იქნება კოლეგებისთვის.

პროექტის აქტუალობა: სკოლის პერიოდის ბავშვში სწავლის მაღალი მოტივაცია წარმატების მიღწევის ძირითადი ფაქტორია. იგი წარმმართველი ძალაა, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს, რამდენად აქტიურადაა ჩართული მოსწავლე სასწავლო პროცესში.

პრობლემა – პროექტის განხორციელების საფუძველი: კარგად სწავლის ძირითადი ფაქტორი წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბების სურვილია. ამისათვის კი ძალზე მნიშვნელოვანია სხვისი წარმატების გაზიარების უნარი. ეს უმნიშვნელოვანესია იმისთვისაც, რომ თავად იყვნენ წარმატებულნი. მსგავსი უნარების განვითარებას და ხელშეწყობას მოსწავლეებში სწორედ სკოლის პერიოდში უნდა ჩაეყაროს საფუძველი.

განხორციელებული აქტივობები:

1. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა არაფორმალურ სასწავლო გარემოში მიღებული ცოდნა და მიღწეული წარმატებები გაუზიარეს ერთმანეთს. ესაა: სხვადასხვა კონკურსებში, პროექტებში, ოლიმპიადებსა თუ ფესტივალებში გამარჯვება, მოაწყვეს საინტერესო პრეზენტაციები; დაამზადეს და უჩვენეს ვიდეორგოლები, სლაიდები, აქტივობის დასრულებისას ნათლად ჩანდა მსმენელი მოსწავლეების ჯანსაღი დამოკიდებულება, მეგობრების წარმატების გაზიარებისა და აღიარების სურვილი.

აქტივობის განხორციელებით მოსწავლეებში ხელი შეეწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისა და პრეზენტაციის წარმართვისათვის საჭირო უნარების განვითარებას. სწორედ ინფორმაციული ტექნოლოგიები იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა შემოქმედებითად, საინტერესოდ და მრავალფეროვნად გადაამუშაონ და წარმოადგინონ ინფორმაცია;

2. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა ჩაწერეს ინტერვიუები მათ მიერ წარმატებულ პიროვნებებად აღიარებულ ადამიანებთან, კერძოდ: მათივე სკოლის წარჩინებულ უფროსკლასელებთან; საყვარელ მსახიობებთან; პედაგოგებთან; ნათესავებთან, რომლებიც მათთვის მისაბაძნი არიან თავიანთი წარმატებებით.

აქტივობის განხორციელებით ხელი შეეწყო მოსწავლეებში კვლევის ერთ-ერთი მეთოდის – ინტერვიუს შექმნისათვის საჭირო ცოდნის დაუფლებას. როგორც ცნობილია, ინტერვიუ ინფორმაციის შეგროვების ფართოდ გავრცელებული საშუალებაა, რომელიც კითხვა-პასუხის გაცვლით გვაწვდის საჭირო ინფორმაციას;

3. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა, დაგეგმეს და მოაწყვეს დისკუსია სკოლის დირექტორთან, რომელიც მოსწავლეების მისამართით დასმული შეკითხვით დაიწყო – რას მოიაზრებდნენ წარმატებული პიროვნების მახასიათებლად? პასუხები მრავალფეროვანი იყო, დასახელდა: მიღებული განათლება; სტატუსი/თანამდებობა სამსახურში; ადამიანის შინაგანი მდგომარეობა, როგორიცაა ბედნიერება; მაღალი ფინანსური ანაზღაურება და სხვა. დისკუსია საინტერესოდ წარიმართა. დასასრულ, მონაწილეები ერთი საერთო აზრის გარშემო გაერთიანდნენ – წარმატებისათვის მზა ფორმულა არ არსებობს, მის მისაღწევად უმთავრესია უდიდესი შრომა, მიზანდასახულობა, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება.

აქტივობის განხორციელებით ხელი შეეწყო მოსწავლეებში დისკუსიის წარმართვისათვის საჭირო უნარების განვითარებას. დიკუსია ავითარებს მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის, დასკვნის გამოტანის უნარს.

პროექტის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები (პრეზენტაცია, ინტერვიუ, დისკუსია, თვალსაჩინოება – ელექტრონული რესურსები) ეხმიანება პროექტული სწავლების დაგეგმვის მთავარ პირობას, მოსწავლეთა გამოცდილებისა და ასაკის გათვალისწინების აუცილებლობას, შესაბამისობას ესგ-ს მიზნებთან. **მათ.დაწყ.(II).14**

- **მოსწავლეთათვის აზროვნების, მსჯელობის, შეხედულებათა დასაბუთების, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზის უნარის განვითარება;**
- **სწავლის შემდგომი ეტაპისათვის ან პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება; ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ცოდნის გადაცემა და ამ ცოდნის გამოყენების უნარის განვითარება.**

სოციალური პროექტის განხორციელებამ, რომელშიც ნათლად ჩანდა სხვადასხვა მეთოდის გამოყენება და მრავალმხრივი უნარების განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეებამდე ზუსტად მიიტანა მთავარი სათქმელი. ბავშვები გულწრფელად და სიხარულით იზიარებდნენ სხვის წარმატებას, თავადაც დასახეს მისკენ მიმავალი გზა. აღნიშნეს, რომ წარმატებისათვის შრომას ყოველთვის აქვს აზრი და არასოდეს დაიზარებდნენ. ასეთი მოტივაცია კი მოსწავლეებისათვის უმთავრესია, რადგან იგი თავად არის საკუთარი პიროვნების შემოქმედი, მასში იმთავითვე ჩადებულია თვითგანვითარებისა და წარმატებისათვის საჭირო ენერგია. პედაგოგებს კი ბევრი ფიქრი გვჭირდება, რომ ხელი შევუწყოთ მათ გამოვლენას. თუ ისინი გააცნობიერებენ, რომ შეუძლიათ იყვნენ წარმატებულები, თავადაც შექმნან, მართონ და მიიღონ გადაწყვეტილება, დააფასონ და გაიზიარონ სხვისი წარმატება, თავადაც მეტად თვითდაჯერებულები იქნებიან.

სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა, სადაც თითოეულს ჩვენი მოვალეობა გვაკისრია.

ნანა ნათიძე
გოგიტა კიკნაძის სახ. თბილისის №182 სკოლის მათემატიკის წამყვანი პედაგოგი, ტრენერი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. И.Ю. Малкова, МЕТОД ПРОЕКТОВ, Методические материалы, Томск 2006;
3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი.

ინტერაქტიული სწავლება

ინტერაქტიული გაკვეთილის დაგეგმვა

მასწავლებლები ყოველდღე ვუზიარებთ ერთმანეთს ჩატარებული გაკვეთილის გამოცდილებას. ვცდილობთ, ისე წარვმართოთ სწავლება, რომ ბავშვს სახლიდან გამოყოლილი ან სკოლაში მიღებული წყენა დავავიწყოთ და ჩვენი საგნით „გავართოთ“. გაკვეთილზე სწავლით მიღებული სიხარული მოსწავლეებს სახლამდეც უნდა გაჰყვეთ და მთელი ცხოვრების მანძილზეც. შეიძლება უტოპიურად ჟღერს ზემოთ ნათქვამი, მაგრამ ყველა მასწავლებლის მიზანი და თვით მასწავლებლობის ეთოსი ამაში მდგომარეობს.

ინტერაქტიული სწავლების ტექნიკის დაუფლება ადვილი არ არის. ერთ-ერთი სირთულე ისაა, რომ მოსწავლე დავიყოლიოთ მეტი პასუხისმგებლობის აღებაზე, განათლების მიღების მიზნით. თუ ამას მივაღწიეთ, გამოდის, რომ პროფესიის მწვერვალზე ვიმყოფებით.

სწავლებას ინტერაქტიული ჰქვია, თუ მასწავლებელი ამოწმებს საშინაო დავალებას, ესაუბრება მოსწავლეებს, უხსნის ახალ მასალას, იყენებს კოგნიტურ სქემებს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას და ა.შ. მაგრამ მეორეა ინტერაქტიული დასწავლა, რაც მოსწავლეზეა დამოკიდებული. მისთვის ყოველი გაკვეთილი ახლის ძიება უნდა იყოს, სადაც თვითონ იქნება აქტიური მკვლევარი. მასწავლებელმა უნდა დაინტერესოს მოსწავლეები, სირთულის შემთხვევაში კი – გაუადვილოს მასალის გაგება.

როგორ დავგეგმოთ ინტერაქტიული გაკვეთილი ისე, რომ არ გამოგვრჩეს სწავლების დინამიკური, დივერგენტული და განსხვავებული ასპექტები? გაკვეთილის დაგეგმვის მრავალი ფორმა არსებობს. კარგი გაკვეთილი, როგორც წესი, იწყება განვლილი ცოდნის გამეორებით, გაკვეთილის მიზნების განხილვით, ზოგადი კითხვების დასმით, კლასის მოწესრიგებით. კარგი გაკვეთილი არ ნიშნავს ბევრი ინფორმაციის გადაცემას. შესავალ ნაწილში აუცილებელია იმის ხაზგასმა, თუ რა კავშირია სასწავლო მასალასა და რეალურ ცხოვრებას შორის. მოსწავლეების დაინტერესება გაკვეთილის მშვიდად წარმართვას და სწავლების ხარისხის გაზრდას გამოიწვევს. ყოველი მიზნის ბოლოს, სანამ ახალი აქტივობის მიზანზე გადავალთ, უნდა შევაჯამოთ მიღწევები. ამით მოსწავლეებს გაეზრდებათ თვითშეფასება. შეჯამების პარალელურად, მოსწავლეებს შეიძლება რეფლექსიაც მოვთხოვოთ – რას ფიქრობენ, რა გაიგეს და რა ისწავლეს მოცემული საკითხის შესახებ. შეჯამება ბევრჯერ შეიძლება გამოგვადგეს გაკვეთილის მსვლელობის დროს, მაგ; თუ გვინდა, შევამოწმოთ, ჩართულია თუ არა მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში, შეიძლება მოვთხოვოთ შეაჯამოს, რაზე მიმდინარეობდა საუბარი. თუ ვერ შეძლებს, ისევ მიზანზე უნდა მივუთითოთ და ვუთხრათ, რაზე ვსაუბრობდით, შემდეგ განვაგრძოთ საკითხის განხილვა. ასე დაგეგმილი გაკვეთილი ზრდის მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

ისტ-ის გამოყენება საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი დროშიც და სივრცეშიც გასცდეს საკლასო ოთახის ფარგლებს; გაკვეთილი თვალსაჩინო, უფრო გასაგები, საინტერესო და სახალისო ხდება თითოეული მოსწავლისათვის. ელექტრონული პრეზენტაციები და სასწავლო ვიდეოს გამოყენება კიდევ უფრო ზრდის ინტერესს და ჩართულობას.

თამაშის ტიპის კომპიუტერული პროგრამები, ამარტივებს მოსწავლის მიერ ახალი შინაარსის ათვისებას ან/და შესაბამისი უნარების განვითარებას სათამაშო გარემოში. მოსწავლეების მოტივაციის გაზრდისთვის, სასწავლო ელექტრონული თამაშის შესაქმნელად, კარგი საიტია /http://learningapps.org//. აქ მრავალი შაბლონია, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია „თამაშის“ შექმნა. მასწავლებელს ფართო არჩევანი აქვს, მოარგოს შაბლონს მისთვის საჭირო თემა და საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი. ამ მიზნით შევქმენი „თამაში“ „ვის უნდა მილიონი“ – ნატურალური რიცხვები და ვიქტორინა სათაურით „ოთხკუთხედები. ფართობი“ /https://learningapps.org/display?v=pucfxgp8n16 ; /https://learningapps.org/2461598

მოსწავლეებში დიდი ინტერესი და მოწონება გამოიწვია ელექტრონულმა ტესტირებამ (easyQuizzy), რომლის მიზანია საგნობრივი კომპეტენციის ხარისხის დადგენა. ტესტი 50-ქულიანი იყო, სტანდარტის შესაბამისად შედგენილი.

ელექტრონული ტესტირება google.drive-ის საშუალებით

- მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, გამოტოვონ და შემდეგ დაუბრუნდნენ ამა თუ იმ დავალებას;
- ტესტზე მუშაობის დასრულების შემდეგ ნახონ საკუთარი შეცდომები და, სურვილის შემთხვევაში, ამობეჭდონ ნამუშევარი;
- მასწავლებელს შეუძლია თითოეული მოსწავლის ნამუშევრის ანალიზი;
- მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, ნახოს კლასის მიერ ტესტის დაძლევის პროცენტული მაჩვენებელი თითოეული საკითხის მიხედვით.

ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია საკლასო დისკუსია, რომლის გამოყენებაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი სოციალური და ინტერპერსონალური უნარების განვითარებას.

დისკუსიის ფორმები:

„მრგვალი მაგიდა“ (4-5 მოსწავლე) – ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა ჯგუფებთან;

„ფორუმი“ – თითოეულ ჯგუფს ჰყავს წინასწარ დანიშნული ლიდერი. ჯგუფი საკითხს განიხილავს დამოუკიდებლად და შემდეგ წარუდგენს კლასს. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს საკუთარი მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმის უფლება;

„სიმპოზიუმი“ – მონაწილეები გამოდიან ინფორმაციებით და დასკვნებით, ისინი საკუთარ აზრს გამოთქვამენ ამა თუ იმ საკითხის შესახებ;

„დებატები“ – დებატების არსია მოსწავლეებს ასწავლოს განსხვავებული კუთხიდან მიუდგნენ წინააღმდეგობრივ პრობლემებს და კრიტიკული თვალით შეხედონ მათ წინაშე მდგარ ყველა საკითხს. ეს კარგი საშუალებაა ისეთი თვისებების განვითარებისთვის, რომლებიც მათ დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებად ჩამოაყალიბებს.

ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი მეთოდია **„მრავალფეროვნების წრე“**, ასევე, **„ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“**. ეს მეთოდი კარგია წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, ახალი მასალის გასაცნობად და კონკრეტული თემის შესაჯამებლად.

ასოციაციური რუკის მიზანია კონკრეტულ საკითხზე მოსწავლეთა ცოდნის დადგენა/შემოწმება. იგი ხელს უწყობს არსებული ინფორმაციის შეკრება-მობილიზებას, ახალი იდეების წარმოშობას და ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად.

მეთოდი – შეკითხვების დაფა

ამა თუ იმ თემის დაწყებისას, მასწავლებელი კედელზე აკრავს ფორმატს ნარწერით – შეკითხვების დაფა.

პირველ გრაფაში წერენ კითხვებს, მათთვის ბუნდოვან საკითხებს, ხოლო მეორეში, საკითხების გასწვრივ, ის მოსწავლეები წერენ თავიანთ სახელს, რომლებიც მზად არიან, უპასუხონ აღნიშნულ კითხვებს. ეს ეხმარება მასწავლებელს, ინტერაქტივის გზით სრულყოს კლასის ცოდნა.

მეთოდი – გონებრივი იერიში 6, 5, 3

კლასიკურ „გონებრივ იერიშთან“ შედარებით, ამ ვარიანტს რამდენიმე უპირატესობა აქვს:

- მოსწავლეებს არ სჭირდებათ ლოდინი საკუთარი იდეის გამოსათქმელად;
- თითოეული წერილობით ახდენს საკუთარი აზრის ფორმულირებას;
- თითოეული მოსწავლე ისე აყალიბებს საკუთარ იდეებს, რომ არ იცნობს სხვებისას და ამრიგად, არ ექცევა მათი გავლენის ქვეშ.

მეთოდი – T დიაგრამა

ეს მეთოდი მასწავლებელმა შეიძლება მრავალმხრივ გამოიყენოს. იგი ძალზე მოსახერხებელია საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა და ფაქტების შესაპირისპირებლად და შესადარებლად.

T სქემა საშუალებას გვაძლევს, წარმოვაჩინოთ დაპირისპირება განსახილველ საკითხებს (ფაქტებს, მოვლენებს, საგნებს და ა.შ.) შორის.

პროექტი არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო, რომელშიც წარმმართველია კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება. ეს მეთოდი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის შესაძლებლობას იძლევა.

პროექტებზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს, არჩეული საკითხის შესაბამისად.

პროექტის ლინკი: https://drive.google.com/open?id=0B0CH0T_-MmoqfOFVoOUpkbGpOWFk

ანიკა თოლორაია
რუსთავის №21 საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ქ. ჭკუასელი, „სწავლების მეთოდები საშუალო სკოლაში“;
2. GESJ: Education Science and Psychology, 2016;
3. დ. ლორთქიფანიძე, დიდაქტიკა, თბილისი, 1981;
4. გამოცდების ეროვნული ცენტრი, „ეფექტიანი სწავლება – თეორია და პრაქტიკა“, 2010;
5. Maststavlebeli. ge – ინტერაქტიული გაკვეთილის დაგეგმვა წარმატების მისაღწევად. ე. ყიფიანი.

პროექტული სწავლება

შედეგზე ორიენტირებული ხედვა

დღეს ხშირად მოვისმენთ საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს, რომ თანამედროვე სკოლა ვერ პასუხობს დროის ცვლილებას და დღევანდელი მოსწავლისთვის უინტერესო ხდება მხოლოდ ტრადიციული საგაკვეთილო პროცესით სწავლება. იქნებ, ეს მოსაზრება არცაა მოკლებული საფუძველს და ჩვენგან, მასწავლებლებისაგან, მოითხოვს დაფიქრებას – შეიძლება კი დღეს მოსწავლისათვის საინტერესო იყოს ის გაკვეთილი, რომელზეც მასწავლებელი მისგან მხოლოდ წიგნიდან ამოკითხული მასალის გადაცემას ითხოვს? ალბათ სასურველია, თითოეულმა ჩვენგანმა, კარგად გავიაზროთ და ვაღიაროთ, რომ დღევანდელი მოსწავლისათვის აღარც წიგნია ცოდნის მიღების ერთადერთი წყარო და არც მასწავლებელი – ინფორმაციის ერთადერთი მიმწოდებელი, ერთადერთი მრჩეველი და მეგზური. ისიც საგულისხმო და მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა სკოლამ მოსწავლე აღჭურვოს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნით, არამედ მოამზადოს იგი რეალური ცხოვრებისათვის და განუვითაროს ისეთი თვისებები, როგორიცაა იდეების გენერირება და დამოუკიდებლად პრობლემური სიტუაციებიდან გამოსავლის გზების ძიება.

სწორედ ამიტომ კარგია, რომ ბოლო წლებია თანამედროვე პედაგოგიკაში, როგორც სასკოლო განათლებაში, ასევე უმაღლეს სკოლაში, გააქტიურდა პროექტული სწავლება, რადგან ეს მეთოდი ახალგაზრდებს ზუსტად იმ უნარების განვითარებაში ეხმარება, რაც საჭიროა მათი სოციუმში წარმატებული ინტეგრირებისთვის.

რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი პროექტული სწვლება? სასწავლო თუ სოციალური პროექტები ხომ იგეგმება კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე ან რომელიმე ინიციატივის განხორციელებაზე და ეს ორიენტირებული სამუშაო პროცესია, რომელიც უზუნველყოფს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარებას.

მოკლედ მიმოვიხილავ ძირითად საკითხებს პროექტის შესახებ ქალბატონ სოფიკო ლობჟანიძის სტატიიდან: http://mastsavlebeli.ge/uploads/portfolio/sofiko_lobjanize_2.pdf

პროექტული სწავლების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- პროექტის ინიციატორი შეიძლება იყოს როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლე
- თავად გეგმავენ და ახორციელებენ პროექტს
- მზად არიან ერთმანეთის დასახმარებლად
- თვალნათლივ ხედავენ პროექტის შედეგებს
- აფასებენ როგორც საკუთარ, ასევე პროექტის სხვა მონაწილეების საქმიანობას.

რაზე შეიძლება განვახორციელოთ პროექტი?

- პროექტი შეიძლება განხორციელდეს ერთი საგნობრივი დისციპლინის ფარგლებში ან საგანთაშორის გამოცდილებას ვიყენებდეთ, რაც ალბათ სასურველიც კი იქნება, როცა სხვადასხვა საგნის მასწავლებლები გეგმავენ, რადგან ინტერდისციპლინარულ პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეს ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვაში ეხმარება
- ზოგჯერ შეიძლება პროექტი გასცდეს სასწავლო პროგრამას და იგი განვახორციელოთ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებაში არსებულ პრობლემებსა თუ მოსწავლეთა ინტერესებზე იყოს ორიენტირებული.

პროექტის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს :

- გადასაჭრელი პრობლემა პროექტის ყველა მონაწილისათვის იყოს მნიშვნელოვანი და აქტუალური
- პროექტი დაიგეგმოს და განხორციელდეს რეალურად და არა „საჩვენებლად“
- მოსწავლეთა ასაკობრივი მზაობა და კომპეტენცია
- პროექტის განხორციელების ვადები შეესაბამება თუ არა რეალობას შედეგის მისაღწევად.

რა უნარებია საჭირო პროექტზე სამუშაოდ?

- თანამშრომლობითი კულტურა
- ორგანიზებულობა
- ცოდნის ტრანსფერი
- პასუხისმგებლობა
- პრეზენტირება.

მნიშვნელოვანია ასევე განხორციელებული პროექტის გაფორმება. არსებობს სხვადასხვაგვარი ფორმები და ე.წ. შაბლონები, თუმცა ჩემთვის ყველაზე მისაღებია ქვემოთ მოცემული შაბლონი:

- პროექტის დასახელება
- პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება
- მიზანი
- ამოცანები და განხორციელების გზები
- მოსალოდნელი შედეგები
- პროექტის ბიუჯეტი
- შეფასება/რეფლექსია.

პირადად მე, წლების წინ, მეგონა რომ პროექტების წერა და განხორციელება მხოლოდ „ზემასწავლებლებს“ შეეძლოთ და მე ამასა ვერასოდეს შევძლებდი, თუმცა მას შემდეგ, რაც გავიარე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული ტრენინგ-მოდულები აღნიშნულ თემაზე, მივხვდი, რომ პროექტული სწავლება იყო სწორედ ის აქტივობა, რომელიც არაერთი პრობლემის მოგვარებაში დამეხმარებოდა როგორც მასწავლებელს და როგორც დამრიგებელს. დავგეგმე და განვახორციელე არაერთი სასწავლო და სოციალური პროექტი მოსწავლეებთან ერთად. ამიტომ მინდა კოლეგებს გავუზიარო გამოცდილება, როგორ მივაღწიე საუკეთესო შედეგებს, სწორედ იმ საკითხში, რომლის სწავლება მანამდე პრობლემად მქონდა. შევეცდები, მოკლედ აღვწერო ჩემ მიერ განხორციელებული ერთი სასწავლო და ერთი სოციალური პროექტი.

ფილოლოგები დამეთანხმებიან, რომ რომანტიზმის სწავლება თანამდეროვე მოსწავლისთვის, ერთგვარი სირთულეა. სიტყვა რომანტიზმის ხსენებაზე ბავშვებს აქვთ მოლოდინი, რომ საუბარი იქნება მთვარიან ღამეებსა და სასიყვარულო ურთიერთობებზე. როცა იწყება „გოგჩა“ , „ვაჰ დრონი, დრონი“, ამდენი უსასოობა და უიმედობა, თითქოს სიზარმაცეში გადასდით სწავლების პროცესი. ამიტომ, მოსწავლეებს შევთავაზე განგვეხორციელებინა პროექტი თემაზე „რომანტიზმი“. თავდაპირველად დიდი აღტაცება არ გამოუხატავთ, მაგრამ როდესაც გავაცანი მონახაზი, ვიგრძენი, რომ მათ გადავუგდე მარცვალი, რომელიც რწყვასა და განოყიერებას საჭიროებდა. მოსწავლეები დავყავი ხუთ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს მივეცი დავალება, ჯგუფებში დაემუშავებინათ თემები:

1. რომანტიზმი და რომანტიკოსები ევროპაში
2. ქართული რომანტიზმის წარმოშობა
3. ალექსანდრე ჭავჭავაძე
4. გრიგოლ ორბელიანი
5. ნიკოლოზ ბარათაშვილი.

თავიდანვე შევიმუშავეთ შეფასების კრიტერიუმები, რათა გაეთვალისწინებინათ რისთვის მიექციათ ყურადღება პრეზენტაციის მომზადებისას. სამუშაო ჯგუფებში საქმე გადაინაწილეს ინტერესების გათვალისწინებით – ვისაც თხრობა უყვარდა, პრეზენტატორი იქნებოდა, ვისაც ინტერნეტში „ძრომიალი“ – მასალას მოიძიებდა, პოეზიის მოყვარული ლექსს დაისწავლიდა და წაიკითხავდა მხატვრულად, ვინც ტექნოლოგიებს კარგად ფლობდა – პრეზენტაციას მოამზადებდა და ა.შ. მოსწავლეებს განვუსაზღვრე დრო ნამუშევრების წარმოსადგენად, თუმცა, ისიც ვუთხარი, რომ რაიმე მნიშვნელოვანი შეცდომის თავიდან ასაცილებლად, კვირის თითო დღეს თითო ჯგუფს შევხვდებოდი და გაწეული სამუშაოს შესახებ რჩევა-რეკომენდაციებს მივცემდი. მინდა გულწრფელად აღვნიშნო, რომ აქტივობებში ყველა თავის საქმეს პირნათლად ასრულებდა და გუნდურობის პრინციპით ზრუნავდნენ ჯგუფის მიერ მომზადებული პრეზენტაცია საინტერესო და იმ კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო, რომელიც ერთობლივად შევიმუშავეთ. ორკვირიანი სამუშაო პროცესის დასრულების შემდეგ, პრეზენტაცია, ცალცალკე გააკეთა თითოეულმა ჯგუფმა. ჯგუფის შიგნითაც კი ისე ჰქონდათ დავალებები გადანაწილებული, რომ არც უხერხულად ეგრძნო ვინმეს თავი და ჯგუფის წარმატებაზეც ეზრუნათ. ცხადია, რომ ამ კლასის მოსწავლეებმა, პროექტული სწავლების მეთოდით, გაცილებით მეტი გაიგეს, ისწავლეს და დაიმახსოვრეს რომანტიზმსა და რომანტიკოსებზე, ვიდრე ჩვეულებრივი საგაკვეთილო პროცესით შევძლებდი.

რაც შეეხება სოციალურ პროექტებს, რომლებიც როგორც კლასის ხელმძღვანელმა განვახორციელე, ამ ტიპის პროექტების დაგეგმვისასაც ვითვალისწინებდი მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია რესურსის ეფექტურობა. ჩემი სადამრიგებლო კლასი ახლა მეცხრეშია, მეხუთე კლასიდან მოყოლებული არაერთი პროექტი განვახორციელეთ, სხვადასხვა აქტუალური პრობლემის მოგვარების მიზნით. მათგან მინდა გაგიზიაროთ გამოცდილება, როგორ შევძელით საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ აგვემაღლებინა ცნობიერება არა მხოლოდ კლასში, არამედ, ზოგადად, თემში. საქმე ისაა, რომ ჩვენი სკოლის წინ ქუჩაზე გადასასვლელია, თუმცა სათანადო ნიშანი, „ზებრაც“ კი არ იყო. ჩვენი აქტიურობის შედეგად, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინეს ჩვენი მოთხოვნა და სკოლის წინ დახაზეს გადასასვლელი. მაგრამ საკითხი ამით არ ამოწურულა – ყველა მაინც არ სარგებლობდა ამ გადასასვლელით და საავარიო სიტუაციები იქმნებოდა, ამიტომ, პროექტის ფარგლებში, მოვაწყვეთ აქციები, სკოლაში მოვიწვიეთ ქ-ნი ეკა ლალიაშვილი, ბ-ნი შალვა ოგბაიძე, რომლებმაც მოსწავლეებთან და მშობლებთან ზებრა გადასასვლელის გამოყენების აუცილებლობაზე ისაუბრეს, თემში დავარიგეთ საინფორმაციო ბუკლეტები, მოსწავლეები თავად იდგნენ გადასასვლელებზე სპეციალური ნიშნებით და არეგულირებდნენ მოძრაობას. სწორედ ჩვენი აქტიურობის შედეგია ის, რომ დღეს ზებრა გადასასვლელით სარგებლობს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და, რაც მთავარია, სკოლის მოსწავლეები თავად უთითებენ უფროსებს.

საბოლოოდ მინდა აღვნიშნო, რომ პროექტზე დაფუძნებულმა სწავლებამ დამარწმუნა მთავარში – ამ დროს მაღალია მოსწავლეთა პასუხისმგებლობა, ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს მაშინაც კი, თუ ეს პროცესი რთულია, რადგან მათივე დაგეგმილია. გუნდური მუშაობა კი მოსწავლეებს უვითარებს კომუნიკაციისა და თანამშრომლობით კულტურას და რაც მთავარია, ასეთი ტიპის სწავლება ყოველთვის რეალური შედეგის მომტანია.

თამარ თაბუაშვილი

თბილისის №118 საჯარო სკოლის პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://mastsavlebeli.ge/uploads/portfolio/sofiko_lobjanize_2.pdf

მუსიკით სწავლება

„ცხოველთა კარნავალი“ – ხალისიანი გაკვეთილისთვის

ხალისიანი და მხიარული გაკვეთილებისთვის აუცილებელია მუდმივად ახალ რესურსებზე ფიქრი. ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობიდან გამომდინარე, მინდა გითხრათ, რომ მუსიკით სწავლებას ძალიან დიდი ეფექტი აქვს. სასწავლო რესურსად მუსიკის გამოყენება საკმაოდ ხშირად მიწევს, რასაც ვუკავშირებ პროგრამული მასალის თემატიკას. რადგან „ჩვენი სკოლა“ კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიასთან არსებული სკოლაა, სადაც მუსიკალურად ნიჭიერი ბავშვები სწავლობენ, რატომაც არა, გამოვიყენოთ რესურსი „ცხოველთა კარნავალი“, მხიარული და ხალისიანი გაკვეთილისთვის, რომელიც ეფუძნება კ. სენ-სანსის „ცხოველთა კარნავალს“, რომელსაც კომპოზიტორმა, ხუმრობით, „ზოოლოგიური ფანტაზია“ უწოდა. პატარა პიესებში ავტორი ქმნის ცხოველთა სამყაროს ზუსტ და მკაფიო ჩანახატებს სხვადასხვა ცხოველისთვის: ლომი, სპილო, ანტილოპა, კუ, მამალი, კენგურუ და ა.შ., რომლებიც პატარებს ფანტაზიების სამყაროში ამოგზაურებს. როგორც ვიცით, მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, მუსიკა კოგნიტურ უნარებს ავითარებს და მუსიკალური ვარჯიში ტვინში ნევროლოგიურ ცვლილებებს იწვევს. მუსიკალური უნარების მატარებელ აღსაზრდელებს მარტივად შეუძლიათ რთული კომპეტენციების დაუფლება.

მესამე კლასის გაკვეთილის ფორმატი ასე დავგეგმეთ:

- კლასი შემთხვევითობის პრინციპით გავყავი ორ ჯგუფად;
- მოსწავლეებს დავურიგე ნაწარმოებში გამოყენებული ცხოველების ფოტოები;
- უფროსკლასელებმა, რომლებიც სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრის ხელოვნებას ეწაფებიან, წინასწარ შეისწავლეს და დაუკრეს ნაწყვეტები ამ ნაწარმოებიდან;
- მესამე კლასის მოსწავლეებს უნდა ამოეცნოთ, რომელი მუსიკა რომელ ცხოველს გამოხატავდა და უნდა მოეძებნათ და აეწიათ ამოცნობილი ცხოველის ფოტო;
- ფოტოები, რომელიც სწორად გამოიცნეს, თავსდებოდა მათ ყუთში;
- ბოლოს შევაჯამეთ გაკვეთილი, ვისაც მეტი სწორი პასუხი აღმოაჩნდა, ანუ მეტი ფოტო, იმ გუნდმა გაიმარჯვა.

საიტერესოა ამერიკელი მკვლევრის, დაიან ბეილსის, უმცროსკლასელთა მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბების კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს სულიერი კულტურის ფენომენს, პიროვნების ისეთ თვისებებს, რომელიც ბუნების ჟღერადი სამყაროს, ადამიანის, მუსიკის გამომსახველობის მოსმენის და შეგრძნების საშუალებას იძლევა, უზრუნველყოფს მათი სულიერი კავშირის გაცნობიერებას. ბავშვთა მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბება ავტორს ნაყოფიერად მიაჩნია, როცა, მუსიკალური გამოცდილების დაგროვებისას, მოსწავლეები ანვითარებენ მუსიკალურ კავშირებს (musical pathways) ტვინთან. ასეთი კავშირები კი მოქმედებენ იმაზე, თუ როგორ ფიქრობს ადამიანი. ბეილსი სამართლიანად უსვამს ხაზს ბავშვებში კლასიკური მუსიკის მოსმენის აუცილებლობას, რომელიც სივრცითი, ვიზუალური აღქმისა და ანალიზის უნარს (spatial reasoning) ავითარებს. იგი დაასკვნის, რომ მუსიკა, სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მუსიკალური კავშირების დამყარებას ტვინთან და, ზოგადად, პოზიტიურ გავლენას ახდენს მოსწავლეებზე, უფრო გააადვილოს მათი სწავლის პროცესი და ხელი შეუწყოს მოსწავლის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებასაც (Bales, 1998).

მუსიკის მოსმენის საფუძველზე, ბავშვს უადვილდება ბგერით-სმენითი წარმოდგენები (კეჩხუაშვილი, 1960). გ.კეჩხუაშვილი უმცროსკლასელთა მუსიკალობის განვითარების დინამიკის შესწავლისას ამბობს, თვით მუსიკალური ენის აღქმით, ბავშვებმა ესთეტიკური სიამოვნება უნდა მიიღონ და, ამასთანავე, ამ აქტივობით ეძებონ კავშირები მუსიკის საკუთარ აღქმასა და გონებრივ წარმოდგენას შორის. როგორც ჩანს, კ. სენ-სანსიც ამასვე ფიქრობდა, როცა „ცხოველთა კარნავალს“ ქმნიდა.

ვფიქრობ, ჩემ მიერ შექმნილი რესურსი კოლეგებსაც გამოადგებათ, რადგან მუსიკა საკმაოდ მიმზიდველ მოტივატორს წარმოადგენს. შესაძლებელია რესურსის მოდიფიკაცია და მორგება, მაგალითად, ცოცხალი შესრულების ნაცვლადმ ჩანაწერის მოსმენა, რაც სასიამოვნოს და მრავალფეროვანს გახდის საგაკვეთილო პროცესს.

ხათუნა დოგორჯგინიძე

კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიასთან არსებული სკოლა ა(ა)იპ „ჩვენი სკოლის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის გამგე, დოქტორი, წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ზოოლოგიური ატლასი. გამომცემლობა „პალიტრა L“. 2013წ;*
2. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, პედაგოგიური სიტუაციების მოდელირება – ე. გარაყანიძე, სადისერტაციო ნაშრომი;*
3. *Bales, Diane. "Building Baby's Brain: The Role of Music." Publication No. FACS 01-7 (September 1998).*

სწავლების მეთოდი

მიზნის მისაღწევი გზები

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, იან ამოს კომენსკი უპირველეს მიზნად მიიჩნევდა, ეპოვა ისეთი მეთოდები და ხერხები, რომლის დახმარებითაც მოსწავლე, მასწავლებლის ნაკლები ჩარევით, მეტს შეისწავლიდა და საგაკვეთილო პროცესი არ იქნებოდა ისეთი მოსაწყენი, როგორიც ადრე. სწავლების მეთოდები უნდა ყოფილიყო ეფექტური. სწორედ ამიტომ, იგი ეძებდა ისეთ საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით შეისწავლიდნენ ამა თუ იმ მასალას.

რა არის სწავლების მეთოდი და როგორ შევარჩიოთ იგი? „მეთოდი“ გულისხმობს ნებისმიერ ვითარებაში მიზნის მისაღწევ გზებს. სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი. ასეთი მეთოდებია:

1. **თანამშრომლობითი სწავლება** (იგი წარმოადგენს სწავლების ყველაზე თანამედროვე ფორმას. თანამშრომლობითი სწავლების დროს მოსწავლეებს უვითარდებათ ორმაგი პასუხისმგებლობა – როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური. თანამშრომლობითი სწავლების საშუალებით მოსწავლეები არა მარტო ცოდნას ეუფლებიან, არამედ უვითარდებათ სოციალიზაციისა და კომუნიკაციის უნარებიც);

2. **ინტერაქტიული სწავლება** (დიალოგური სწავლების ფორმა, რომლის მიმდინარეობისას ხორციელდება ინტერაქცია როგორც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს შორის. ინტერაქტიული სწავლება გათვლილია ყოველი მოსწავლის სარგებელზე. ამ დროს აქცენტი კეთდება ისეთ ფორმებზე, სადაც მოსწავლე აქტიურად ერთვება სწავლის პროცესში. მასწავლებელი კი ისე გეგმავს გაკვეთილს, რომ არც ერთი მოსწავლე არ რჩება პასიური და ყურადღების მიღმა);

3. **პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება** (სწავლების ეს ფორმა შედგება სპეციალურად შერჩეული პრობლემისგან, რომელიც მოსწავლისგან დამატებითი ცოდნის შეძენას და პრობლემის გადაჭრაში დახელოვნებას მოითხოვს).

21-ე საუკუნეში ეფექტიანი სწავლება წარმოუდგენელია სხვადასხვა რესურსის გარეშე, როგორიცაა ბიბლიოთეკები, ინტერნეტი და სხვ. მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს სასწავლო დროც, რომლის სწორად გამოყენება ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სწავლების პროცესში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება კი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ მიმართულებით. სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. გაკვეთილზე შესაძლებელია გამოვიყენოთ ყველა ის რესურსი, რაც მოსწავლეებს დააინტერესებს და გაკვეთილს უფრო საინტერესოს და ეფექტურს გახდის.

როდესაც სასწავლო რესურსებზე ვსაუბრობთ, საგაკვეთილო პროცესში განსაკუთრებული როლი უკავია ვიზუალურ მხარეს, ვინაიდან მოსწავლეებისთვის თვალით ნანახის დამახსოვრება-დასწავლა უფრო მარტივია. ვიზუალურ მხარეში იგულისხმება სურათები, რომლებიც გარკვეულ ფრაზებს გამოხატავენ: ანიმაციები, სიტყვები, რომლებიც გამოსახულია ნახატის სახით. მაგალითად: ცხოველები, ფრინველები, ტანსაცმელი, ხილი, საკვები პროდუქტები და ა.შ.

რესურსების მოძიება დღეს დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს, რადგან საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით შეგვიძლია მოვიძიოთ ის დამატებითი ინფორმაცია და მასალები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს საგაკვეთილო პროცესში. ინტერნეტი უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომია და მოსწავლეებსაც შეუძლიათ მოიძიონ მრავალფეროვანი მასალა ამა თუ იმ საკითხზე. ამ დროს სწავლაც უფრო სახალისო ხდება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და მათში მოტივაციის ზრდას.

როდესაც ბავშვები, პირველად, V კლასში იწყებენ გერმანული ენის შესწავლას, პირველ ეტაპზე, ვიწყებთ მარტივი სიტყვებისა და ფრაზების ზეპირად შესწავლას, საამისოდ კი საუკეთესო რესურსია შესაბამის თემასთან ბარათების ჩვენება, რაც ბავშვებს სიტყვებისა და ფრაზების აღქმაში ეხმარება.

როგორც ვიცით, სწავლის ყოველდღიური რუტინა საკმაოდ დამღლელია, ამიტომ განტვირთვისთვის მათ ვთავაზობ სახალისო აქტივობებს, როგორიცაა გერმანული საბავშვო სიმღერები (ABC Lied,123Lied). ასეთი აქტივობები ძალიან ახალისებთ, სიმღერებს სიამოვნებით სწავლობენ ისეთი მოსწავლეებიც კი, რომლებიც საშუალო აკადემიური მიღწევებითაც კი არ გამოირჩევიან (ეს მაგალითი ჩემი საკუთარი პრაქტიკიდან მოვიყვანე). ამავე დროს, ამ ხერხით ბავშვებში იზრდება სწავლის მოტივაცია და გამოუმუშავდებათ გერმანულ ენაზე მოსმენისა და საუბრის უნარი.

მართალია, თვალსაჩინოებასა და ციფრულ ტექნოლოგიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკლებ როლს ასრულებს ისეთი რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელო, ბიბლიოთეკა და ა.შ

მიმდინარე სასწავლო წელს, მეექვსე კლასში, შიდა დაკვირვების გაკვეთილი ჩავატარე. გაკვეთილის თემა იყო „რიცხვები, დრო და დროის განსაზღვრა“. გაკვეთილი საკმაოდ ნაყოფიერი და საინტერესო გამოვიდა, რასაც ხელი შეუწყო სხვადასხვა სასწავლო რესურსის გამოყენებამ.

საგაკვეთილო პროცესში აქტიური მონაწილეობა მოსწავლეთათვის გაცილებით ბუნებრივია, ვიდრე წყნარად ჯდომა და მოსმენა. შესაბამისად, ლექციის ტიპის მეთოდით ჩატარებული გაკვეთილის დროს, მოსწავლეები მოდუნდებიან და გაკვეთილი უინტერესო, რუტინული გამოვა. ამიტომ, შესასწავლი თემის – „რიცხვებისა და დროის“ ახსნის დროს, მათ სხვადასხვა სტილის საათები ვაჩვენე, მაგალითად, ქვიშის , ელექტრო, მექანიკური; სლაიდების სახით ვუჩვენე ცნობილი საათები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებიდან; მოვასმენინე გერმანული სიმღერები, რამაც ბავშვებს მოტივაცია აუმაღლა და გაკვეთილზე ჩართულობა ამაღალდა; შემდეგ მოვასმენინე ტექსტი და ვთხოვე, მოენიშნათ ის ადგილები, სადაც საუბარი იყო საათისა და რიცხვების შესახებ. ამ აქტივობამ მოსწავლეებში გერმანულ ენაზე მოსმენის უნარი განავითარა.

ამრიგად, გაკვეთილზე ჩემ მიერ გამოყენებულმა აქტივობებმა გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, უზრუნველყო მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რაზეც დიდი გავლენა იქონია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენებამ.

ჯულიეტა ჭეიშვილი
სსიპ ქვიტირის საჯარო სკოლის გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. განვითარებისა და სწავლების თეორიები;
2. მასწავლებლის სახელმძღვანელო;
3. სწავლება და შეფასება.

მოსწავლეთა შეფასების მეთოდები
შემაჯამებელი წერითი სამუშაო

სტატიაში განვიხილავ ჩემი მოსწავლეების მიერ შესრულებულ შემაჯამებელ დავალებას. შემაჯამებელი სამუშაოები ჩავატარე ტესტის სახით, რომელიც მოიცავდა ტესტური დავალების პირველ სამ სავარჯიშოს – დახურულ კითხვებს (ოთხი სავარაუდო პასუხიდან უნდა შეერჩიათ ერთი სწორი); შემდეგი ექვსი სავარჯიშო, რომლებიც წარმოდგენილი იყო ღია კითხვებით, მოითხოვდა სათანადო ინფორმაციის ფლობას – ძველი ქართული ენის თავისებურებათა და ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობის ცოდნას (პასუხი უნდა დაეფიქსირებინათ შესაბამის ხაზებზე); ბოლო, მე-10 დავალება – ესე მოცემული იყო თეზისის გააზრების, მსჯელობისა და წერითი უნარების გამოსავლენად. ტესტის მაქსიმალური ქულა იყო 20.

ამ ტიპის აქტივობების შესრულებისას, მოსწავლეთა უმრავლესობას გაუჭირდა ამა თუ იმ შემაჯამებელი სამუშაოს შესრულება, კერძოდ, ბოლო დავალების – ესეს წერა.

შემუშავებული მქონდა შემაჯამებელი ტესტური დავალების შეფასების რუბრიკა.

შემაჯამებელ წერით სამუშაოს თან ახლდა შემაჯამებელი გაკვეთილის სტანდარტთან შესაბამისობა, ესეს შეფასების კრიტერიუმები, რომელთა შესრულებასაც მოითხოვს ეროვნული სასწავლო გეგმა.

შევეცდები, განვსაზღვრო ამ მეთოდის ეფექტურობა.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლეთა შეფასების მეთოდები, შემაჯამებელი წერითი სამუშაო, უნარი, შემაჯამებელი გაკვეთილის სტანდარტი.

შესავალი: თანამედროვე სკოლა წარმოუდგენელია განვითარების გარეშე. ეს კი მუდმივ ძიებას, მოძრაობას, საქმიანობას, პრობლემის იდენტიფიცირებას, მის გადაჭრას, მოსწავლეების, მშობლების, პედაგოგების აქტიურობას გულისხმობს, რაც მომავლის სკოლის შენებას ნიშნავს.

მომავლის სკოლის შენება მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ აქტივობასთან, როგორიცაა მოსწავლის შეფასების სისტემა – კონკრეტული დავალების გადაჭრისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. შემაჯამებელ დავალებაზე მუშაობა მოიცავს პრაქტიკული ქმედებისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს, არჩეული საკითხის შესაბამისად.

მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს გულისხმობს.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით (ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ან ცდის ჩატარება, წარმოდგენა წერითი ტესტის სახით, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.).

მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

ასევე ცნობილია, რომ სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. **განმსაზღვრელი შეფასება** აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში ვწერთ ქულას. **განმავითარებელი შეფასება** კი, აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას, გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

საინტერესოა, როგორია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა. მაგალითად, განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების – სწავლის ხარისხის გაკონტროლება, მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში.

შემაჯამებელი დავალების შესრულების დროს, განმავითარებელ შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ. კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით – რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს), უნარის განვითარების დონის აღწერა.

ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. ამ კომპონენტით შეფასებისას: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი). თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს, გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაოს ვადები სასკოლო სასწავლო გეგმით განისაზღვრება, 2 კვირის განმავლობაში. მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები.

ვიცი, როგორ სწავლობს მოსწავლე სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით და ვაცნობიერებ მათ მნიშვნელობას მოსწავლის სწავლის ხელშესაწყობად; განვსაზღვრავ, როგორ დავეხმარო მოსწავლეს ცოდნის აგებაში, ასევე, როგორ დავეხმარო დამოუკიდებლად სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში.

შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ, ვახდენ ანალიზს. შემუშავებული მაქვს ანალიზის ფორმა, სადაც მითითებულია ჩატარების დრო, კლასის საშუალო არითმეტიკული ქულა კონკრეტულ შემაჯამებელში, რა გაუჭირდა კლასს ამ შემაჯამებელში, სტანდარტის რომელ შედეგებზე გადის ეს შემაჯამებელი, რეკომენდაციები მომდევნო, ახალი სემესტრის შემაჯამებელი სამუშაოების დაგეგმვით, ვინ რა უნდა გაითვალისწინოს, შემაჯამებელი წერის შედეგები, შედეგების დიაგრამა, განხილული საკითხების რეიტინგი, შედეგების ანალიზი საკითხების მიხედვით, ბოლოს კი, სიტყვიერი კომენტარი. ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, ყურადღებას გავამახვილებ და ხელახლა გავივლი, მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილთან, მოცემულ საკითხს.

მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ფაქტობრივი ცოდნის მიღების თვალსაზრისით, მეორე მხრივ, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის, ასევე ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას.

შემაჯამებელი სამუშოს ჩატარებისას სიღრმისეულად ვეხმარები მოსწავლეებს საკუთარი ხარვეზების დროულად აღმოფხვრაში. ამით მათ კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის მოძიების, დახარისხების, თანამშრომლობის, საკომუნიკაციო და შემოქმედებითი უნარები უვითარდებათ.

საკითხის კარგად გაგება-გააზრების შემდეგ, მოსწავლეებისთვის მუშაობა დიდი სიხარულია. ერთობლივად ვაანალიზებთ ყველა მოსალოდნელ კითხვასა და დაბრკოლებას, ვაწესებ კონსულტაციის დღეებს. ვსვამთ კითხვებს:

- რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეთათვის შემაჯამებელი დავალების შესრულება?
- საკმარისია თუ არა მოსწავლეთა კომპეტენცია მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად?
- არის თუ არა დავალებები ისე განაწილებული, რომ თითოეული მოსწავლის ძლიერი მხარე წარმოჩინდეს?

შემაჯამებელ დავალებაზე მუშაობა: მოსწავლეები გადახედავენ მასალებს. იზრდება მათი მოტივაცია და პასუხისმგებლობა. ისინი ეფექტურად იყენებენ ინტერნეტრესურსებს, წარმატებით თანამშრომლობენ.

კრიტიკული აზროვნებისთვის ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება მხოლოდ საწყისი ეტაპია, ამისათვის ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებაა აუცილებელი პირობა. მოსწავლეებმა იმუშავეს შეთანხმებულად. რადგან კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაცაა, შევეცადე, მოსწავლეებისთვის სხვათა მოსმენისა და მათი აზრის გათ-

სწავლების მეთოდი

ვალისწინების, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და დაცვის, საკუთარ მოსაზრებაზე პასუხისმგებლობის შესაძლებლობა მიმეცა.

შედეგი: შესასრულებელი დავალებები ოთხ ვარიანტად მოვამზადე. თითოეულში შეტანილი მქონდა დახურული კითხვები, ღია კითხვები, საკითხები ლიტერატურის თეორიიდან, გრამატიკიდან, მსჯელობა-გააზრებისა და წერითი უნარების გამოსავლენად კი – ესე.

შემაჯამებელ დავალებაზე მუშაობისას, მოსწავლეებს უყალიბდებათ შემდეგი უნარები:

- იზრდება სწავლის მოტივაცია და მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ხდება ცოდნის ტრანსფერი.

შესრულებული სამუშაოს შეფასება ხდება შემაჯამებელი ტესტური დავალების შეფასების რუბრიკებით.

ამ პრაქტიკული და თეორიული მიგნებებით, სამუშაო წარმატებით შესრულდა.

შემაჯამებელი სამუშაოები არაჩვეულებრივი მასალაა იმისათვის, რომ ჩემ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების რეფლექსია მოვახდინო. ვწერ სემესტრულ ანგარიშს შემაჯამებელი სამუშაოების შესახებ და წარვადგენ კათედრაზე, კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, ასევე, განვათავსებ ჩემს პორტფოლიოში. შემაჯამებელი სამუშაოების ეტაპობრივი განზოგადების აქტივობები თვითგანვითარებასა და პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფაში მეხმარება.

ვაანალიზებ რა შემაჯამებელი დავალებების შეფასების შედეგად მიღებულ მონაცემებს, მიზნად ვისახავ თითოეული მოსწავლის, მოსწავლეთა ჯგუფისა და, ზოგადად, კლასის მიღწევების გაუმჯობესებას.

ამ ტიპის ანგარიშები პორტფოლიოს უფრო ინფორმაციულს ხდის და უფრო მეტს „მოგვითხრობს" ჩემი, როგორც მასწავლებლის, საქმიანობის შესახებ. ამასთანავე, ამგვარი პორტფოლიოების მეშვეობით, სკოლას შეუძლია უფრო მასშტაბური სურათის დანახვა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სტრატეგიების დაგეგმვა, მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირება და პრევენცია.

დასკვნა

მოსწავლეთა შეფასების მეთოდების (შემაჯამებელი წერითი სამუშაოს) შედეგია ის, რომ ამ ტიპით შესრულებული სამუშაო ხელს უწყობს აკადემიური მიღწევის დონის ამაღლებას, მეხმარება წარმატების კრიტერიუმების განსაზღვრაში.

შემაჯამებელი სამუშაოების ძლიერი მხარეა შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება. ვადგენ, რა არის გასაუმჯობესებელი, მაგალითად, ჩემ შემთხვევაში, წერითი ნაწილი, რომელიც მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირს. ეს უკანასკნელი კი, გაუმჯობესდება ამ ტიპის დავალებებზე ხშირად მუშაობით. შემაჯამებელი სამუშაო მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, განახორციელოს საკუთარი წარმატება-წარუმატებლობის მონიტორინგი.

საბოლოო ჯამში, მუშაობით კმაყოფილი ვარ, რადგან სრულყოფილად იქნა მიღებული ესგ-ით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები.

რეკომენდაცია: რა უნდა იყოს გათვალისწინებული შედეგებზე რეაგირებისათვის?

უფრო მეტი ყურადღება დავუთმო ცალკეულ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ და დამოუკიდებელ მუშაობას.

ვფიქრობ, მოსწავლეთა შეფასების მეთოდები (შემაჯამებელი წერითი სამუშაო) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას, იძლევა ეფექტურ შედეგს მოსწავლეთა ჩართულობის კუთხით და ეხმარება მათ არა მარტო სააზროვნო, არამედ ისეთი სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, როგორიცაა გუნდურობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარ ცოდნაზე დაკვირვების ანალიზი.

თამარ ფაჩულია
შპს „თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის"
ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016, კოდიფიცირებული, თბილისი, 2013;
2. ბოჭორიშვილი მ., პრაქტიკული პედაგოგიკა – შემაჯამებელი დავალების შედეგების ანალიზის პრაქტიკა. თბილისი, ჟურნალი „მასწავლებელი", 2015;
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (ძირითადი ნაწილი).

დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში (ინკლუზიურ ჭრილში)

დიფერენციაციის თეორიის მიხედვით მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს (კ. ტომლინსონი). ამ დასკვნის საფუძველზე დიფერენციაციის თეორია გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, განსაკუთრებული პირობები შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს კარგი სწავლისთვის. ამისთვის იგი იყენებს სხვადასხვა სასწავლო მასალას, განსხვავებულ დავალებებს და პრაქტიკას. დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას, მასწავლებელი ხელმძღვანელობს კლასის ფასილიტაციის ზოგადი პრინციპებით, რომლებიც ეფექტურია თითოეულ მოსწავლესთან მიმართებაში. ამ თეორიის მიხედვით, სწავლებისას, გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების შინაარსი, პროცესი, პროდუქტი სისტემატურად იცვლება, გამომდინარე იქიდან, რისთვის არიან მზად მოსწავლეები. დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას:

1. მასწავლებელმა ზუსტად იცის, რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილში;
2. აცნობიერებს, აფასებს და ეყრდნობა მოსწავლეთა შორის განსხვავებას;
3. სწავლება და შეფასება ურთიერთკავშირშია;
4. მასწავლებელი აკვირდება და არეგულირებს შინაარსს, პროცესსა და შედეგს;
5. მოსწავლეთა ინდივიდუალური წარმატება და წარმატების მაქსიმალური ზრდა ორი მთავარი მიზანია;
6. სწავლების ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, სწავლება, შეფასება), აუცილებელია ლავირება დიფერენციაციის განსახორციელებლად, საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას, მასწავლებელი ახდენს შემდეგი კომპონენტების მოდიფიცირებას: სასწავლო მასალების; სასწავლო რესურსების; სასწავლო გარემოს. მოდიფიკაცია სამი ძირითადი ასპექტის გამოა აუცილებელი:
   1. სწავლის შესაძლებლობა;
   2. სწავლის მოტივაცია;
   3. სწავლის ეფექტიანობა.

სამივე ასპექტი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ: მოსწავლის მზადყოფნას; ინტერესს; სწავლას. ფაქტია, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არ არსებობს „სტანდარტული" მოსწავლე და იდეალური ხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა პრობლემას გაუმკლავდება. სწორედ აქ გვეხმარება დიფერენციაციის თეორია, რომელიც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების არსებობას აღიარებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მას შემოაქვს დიფერენცირებული მიდგომები, სწავლის მოდალობების თვალსაზრისით. მათზე დაყრდნობით, მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოსწავლეთა განსხვავებების გამოყენება, სასწავლო მიზნით გათვლისწინებული შედეგების მიღწევისთვის.

ამ სტატიაში განვიხილავ დიფერენცირებულ მიდგომას ინკლუზიურ ჭრილში. ვისაუბრებ ერთ კონკრეტულ კლასზე, სადაც 22 განსხვავებული შესაძლებლობის და ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე სწავლობს. ჩემმა და ჩემი კოლეგების პედაგოგიურმა პრაქტიკამ საშუალება მომცა გამეკეთებინა სწორი დასკვნები, შემეფასებინა ჩვენი მუშაობის შედეგები.

გიზიარებთ იმ მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომელიც გამოვიყენე სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურად ჩასართავად.

მოსწავლის ტიპი – სსსმ

სამედიცინო დიაგნოზი – ჯანმრთელი

მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა – გონებრივი ჩამორჩენა, დისლექსია, დისგრაფია.

1. ტექსტის მოდიფიცირება

ვინაიდან სსსმ მოსწავლე ვერ კითხულობს – ვერ ცნობს ასოებს, ვერ ასახელებს მათ, საგაკვეთილო პროცესში მისი ჩართულობა წიგნის ფურცვლით შემოიფარგლებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც მოისმენდა თანაკლასელების პასუხებს, ის ერთვებოდა საკლასო ინტერაქციაში და საკუთარ დამოკიდებულებას თამამად გამოხატავდა. გადავწყვიტე, შემეცვალა მიდგომა და მომეფიქრებინა გზა პრობლემის გადასაჭრელად. ეს იყო ტექსტის აუდიოჩანაწერი. ხმის ჩამწერის საშუალებით, მოსწავლეს ტექსტს ვუწერდი ბუკში. გაკვეთილზე ის ამ ტექსტს ყურსასმენების საშუალებით ისმენდა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა – თითქმის ყველა კითხვას სწორად პასუხობდა, არ იყო დამოკიდებული სხვებზე, დამოუკიდებლად იგებდა ტექსტის შინაარსს, შინაარსიდან გამომდინარე ასრულებდა ინდივიდუალურ დავალებებს.

2. ონლაინრესურსებზე მუშაობა

თემის/საკითხის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებისთვის ვქმნი ონლაინრესურსებს learningap-ში. როცა სხვები ჩართულები იყვნენ, სსსმ მოსწავლე არ იყო დაკავებული მისთვის შესაფერისი საქმიანობით, ამიტომაც სრულად არ იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში. გადავწყვიტე, სპეციალურად მისთვის შემექმნა რესურსები.

რიცხვების მარულა – რესურსის შექმნის საფუძველი იყო სასიამოვნო, სახალისო სასწავლო გარემოს შექმნა.

კლასი მუშაობდა მსგავს რესურსზე, რომელიც გამრავლების ტაბულაზე იყო აგებული, მოსწავლეს დისკომფორტი რომ არ შექმნოდა, გადავწყვიტე, მისთვის სპეციალურად შემექმნა რესურსი, რომელზე მუშაობასაც შეძლებდა ჩემი დახმარებით. ონლაინრესურსზე მუშაობამ სწავლის პროცესი უფრო სახალისო და საინტერესო გახადა, მოსწავლე მაქსიმალურად ჩაერთო საგაკვეთილო პროცესში.

რესურსი მორგებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტს.

რესურსის აღწერა – რესურსი შედგება რამდენიმე კითხვისა და 4 სავარაუდო პასუხისგან.

გამოყენების ინსტრუქცია – კონკრეტული მოსწავლე ამ რესურსის გამოყენებას დამოუკიდებლად, მეწყვილის გარეშე, ვერ შეძლებს. იმისათვის, რომ მოსწავლემ რესურსის გამოყენება შეძლოს, აქტიური უნდა ჰქონდეს ინტერნეტკავშირი, საძიებო ველში უნდა შეიყვანოს შემდეგი მისამართი: https://learningapps.org/watch?v=ptmroh25c18

ეკრანზე გამოჩნდება დავალების ინსტრუქცია, შემდეგ – პირველი კითხვა. ეს რესურსი ძალიან ჰგავს ცხენების დოღს – თითოეულ კითხვაზე სწორი პასუხის შემთხვევაში, მოთამაშე დაწინაურდება (ამას ხედავს). მოცემულია კითხვები და 4 სავარაუდო პასუხი, მოსწავლემ უნდა შეკრიბოს რიცხვები, მათემატიკური სათვლელების (საანგარიშო, ჩხირები, მანიპულატივები) გამოყენებით, მისთვის სასურველ პასუხზე მიიტანოს კურსორი და დააწკაპუნოს. სწორი პასუხი მწვანედ აინთება, არასწორის შემთხვევაში – ეკრანზე სწორი პასუხი ჩნდება. ბოლომდე სწორად შესრულების შემთხვევაში, მოგებულ მოთამაშეს, ფინიშთან გამარჯვების ალამი გამოუჩნდება.

მრავალჯერადობა – მოცემული რესურსი შეუძლიათ გამოიყენონ დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა, როგორც სსსმ მოსწავლეებთან, ასევე პირველ კლასშიც.

რესურსმა ხელი შეუწყო მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში და შემდეგი უნარ-ჩვევების განვითარებას:

საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობა, თანამშრომლობითი სწავლება

https://drive.google.com/drive/folders/1-y-bCHLdWBJ2noEO1zMT-ObnF45VSRry4?usp=sharing

რესურსის აღწერა – რესურსი წარმოადგენს ამობეჭდილ კომიქსის მზა შაბლონს, ცარიელი დიალოგური ფანჯრით. მოსწავლეებმა, ილუსტრაციაზე და ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით, უნდა მოიფიქრონ დიალოგები და ჩაწერონ ცარიელ ადგილას. თითო ჯგუფს განსხვავებული შაბლონი ჰქონდა. სსსმ მოსწავლისთვისაც შევქმენი შაბლონი.

გამოყენების ინსტრუქცია – რესურსი წარმოადგენს კომიქსის შაბლონს. მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ ილუსტრაციას, შეთხზან პატარა სიტუაცია და ცარიელ ადგილას ჩაწერონ სიტუაციის შესაბამისი დიალოგები. სსსმ მოსწავლეს მხოლოდ სიმბოლოები უნდა ჩაეხატა. მაგალითად, გაბრაზებისას – შავი გული, შერიგებისას – წითელი გული.

შედეგი: რესურსზე მუშაობა სახალისო იყო.

სსსმ.მოსწავლემ, მითითებების მიხედვით, ზუსტად და სწორად შეასრულა დავალება.

მრავალჯერადობა – მოცემული რესურსი შეუძლიათ გამოიყენონ დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა ქართულის გაკვეთილებზე ან ბულინგის თემის განხილვისას, კლასის საათზე – მოარგონ ტექსტის შინაარსს/მოსწავლეებს სთხოვონ, მოცემული შაბლონების მიხედვით შეთხზან მოთხრობები და შეავსონ დიალოგური ფანჯრები.

რესურსმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებას: დიალოგური მეტყველება, თანამშრომლობითი სწავლება, ცოდნის ტრანსფერიზაცია, შემოქმედებითობა, ფანტაზია.

დაალაგე ზრდადობით 1 – https://learningapps.org/view6739804

მოცემულია ფოტოები ჩიტების გამოსახულებით. ფოტოებზე მათი რაოდენობა იზრდება. მოსწავლემ ღერძზე უნდა დაალაგოს ილუსტრაციები, ჩიტების რაოდენობის ზრდის მიხედვით.

დაალაგე კლებადობით – https://learningapps.org/view6739747

მოცემულია რიცხვები, 1-დან 5-ის ჩათვლით, მოსწავლემ ღერძზე უნდა დაალაგოს რიცხვები კლების მიხედვით.

დაალაგე ზრდადობით 2 – https://learningapps.org/view6739735

მოცემულია რიცხვები, 1-დან 5-ის ჩათვლით, მოსწავლემ ღერძზე უნდა დაალაგოს რიცხვები ზრდის მიხედვით.

„რას გალობს შაშვი" მიხედვით

https://learningapps.org/view6739574

მოცემულია ილუსტრაციები და რამდენიმე ახალი სიტყვა, რომელიც ტექსტიდან გამომდინარე ისწავლა სსსმ მოსწავლემ. მან ილუსტრაცია ნასწავლ სიტყვებს უნდა შეუსაბამოს.

https://learningapps.org/view6739689

მოცემულია ღერძი და ილუსტრაციები, ტექსტის მოსმენის შემდეგ მოსწავლემ ღერძზე ილუსტრაციები სწორი თანმიმდევრობით უნდა დაალაგოს.

სსსმ მოსწავლე აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში. მართალია, დავალებებს დამოუკიდებლად ვერ ასრულებს, მაგრამ მასზე მთელი კლასი ზრუნავს და ცდილობენ, დაეხმარონ ინსტრუქციის გაგებაში.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის უნარების დახვეწაში მას კიდევ ერთი ახალი რესურსი ეხმარება – ელექტრონული რესურსი „ვისწავლოთ თამაშით". მოსწავლე ტექსტის შესაბამის ილუსტრაციას ქმნის, ადებს ხმებს, უცვლის ფონს, შეუსაბამებს გამოსახულებებს, მსგავს დავალებებს დამოუკიდებლად ასრულებს toondoo.com-ში და googledrow-ში.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეფექტური სასწავლო აქტივობები, სტრატეგიები და მიდგომები ცვლის მოსწავლის დამოკიდებულებას სწავლა-სწავლებისადმი, ზრდის მის ჩართულობასა და მოტივაციას, უვითარებს შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას, ტექნოლოგიების ფლობის უნარებს.

გელა ლაგვილავა
სსიპ ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის
სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგი

სამოდელო გაკვეთილი

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვა

დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარება ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი პირობაა. როგორ დაგეგმოს მოსწავლემ ცოდნის მიღების გზა? რა ხერხები და საშუალებები გამოიყენოს? ცხადია, ამ პროცესის მართვაში მას მასწავლებელი უნდა დაეხმაროს და გეზი მისცეს. „სასკოლო გარემომ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება“. სკოლა უნდა ასწავლიდეს მოზარდს საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასებას, გაანალიზებასა და საჭიროებების დაგეგმვას. უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის როლი. ის უნდა უმზადებდეს კითხვარებს, რათა მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ თვითშეფასების უნარი. საჭიროა მოსწავლის როგორც უწყვეტი განვითარება, ასევე მისი რეფლექსური აზროვნების ჩამოყალიბება.

სწავლის თვითმართვა ნიშნავს საკუთარი შესაძლებლობების სრულ გააზრებას და სწორი შესაძლო გზის არჩევას მიზნის მისაღწევად. მოსწავლემ უნდა შეძლოს სასწავლო პროცესზე დაკვირვება და შედეგების შეფასება, რაც დაეხმარება შესაძლებლობების სრულყოფაში, პიროვნებას დამოუკიდებელს, კრიტიკულად მოაზროვნეს, მკვლევარსა და მაძიებელს გახდის. სწორედ მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესისა და შედეგისაკენ.

სწავლის სწავლა ერთ-ერთი პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციაა, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება როგორ ასწავლოს მოსწავლეებს სწავლის თვითმართვა. მასწავლებელი მუდმივად უნდა აწვდიდეს მოსწავლეებს უკუკავშირს, განმავითარებელ და აღწერით კომენტარს და აჩვევდეს თვითშეფასებას. გთავაზობთ ჩემ მიერ ჩატარებულ გაკვეთილს, რომელიც ეფუძნება პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას.

გაკვეთილის ტიპი: გამჭოლი კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული – სემიოტიკა, წიგნიერება, სწავლის სწავლა

გაკვეთილის თემა: ი. ჭავჭავაძის „ქართვლის დედას“.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე დამოუკიდებლად შეარჩევს სწავლის მეთოდს, სიღრმისეულად გაიაზრებს ი. ჭავჭავაძის ლექსს „ქართვლის დედა“, შეძლებს ვერბალური და არავერბალური საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას, დაამუშავებს ინფორმაციას სხვადასხვა საშუალებით (წერა, მეტყველება, იყენებს მარკირების საკუთარ სისტემას ან ცხრილებს) და გამოთქვამს თავის მოსაზრებებს, შეძლებს საკუთარი სწავლის პროცესის შეფასებას.

უნარები: სწავლის სწავლა – მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვას, მონიტორინგს, შეფასებას ***მეტაკოგნიტური უნარებით:*** ა) გააცნობიერებენ იმ ფაქტორებსა და პირობებს, რაც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას; ბ) შეარჩევენ და გამოიყენებენ სწავლის იმ სტრატეგიებს, მეთოდებს, მიდგომებს, რომლებიც აუმჯობესებს შესასწავლი მასალის ცოდნის დაუფლებას, აღქმას, გაგებას; ***სემიოტიკური:*** ა) შეძლებენ ვერბალური და არავერბალური საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებასა და ინტერპრეტირებას; ბ) შეძლებენ, საკუთარი ნააზრევი და განცდილი გადმოსცენ სხვადასხვა საშუალებით; ***წიგნიერება:*** მოსწავლეები შეძლებენ ინფორმაციის დამუშავებას, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმას.

ესგ მისაღწევი შედეგები: ქართ.VIII.1. მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.

ქართ.VIII. 5. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავენ გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე.

ქართ. VIII. 9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსი/ რესურსები	დრო (წთ)
აქტივობა I 1. ორგანიზაციული საკითხების მოგვარება **გამოწვევის ფაზა** 2. გონებრივი რუკა – ფერწერულ ტილოზე დაკვირვება (დ. კაკაბაძის ნახატი). **მასწავლებლის დავალება**: • დააკვირდით ეკრანზე ნაჩვენებ ფერწერულ ტილოს და ამოიცანით ავტორის ჩანაფიქრი. • როგორ ფიქრობთ, ვისი სიმბოლური სახეა ნახატზე? • რაზე გესაუბრებათ თქვენ ეს ნახატი?	ვარაუდების გამოთქმა, გონებრივი რუკა	ინდივიდუალური, მთელი კლასი	ფლიფჩარტის ფურცელი, რომლის ცენტრში გაკრულია ნახატი „გონებრივი რუკა“, ნახატის უკეთესად აღსაქმელად პროექტორის გამოყენება	4წთ
აქტივობა II. შინაარსის რეალიზება **1**. მასწავლებელი აცნობს გაკვეთილის თემას. მოსწავლეებს რთავს მიზნის განსაზღვრაში. აცნობს თვითშეფასებისა და შეფასების სქემებს – 1წთ. **2. დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე** მასწავლებელი აწვდის აქტივობის ინსტრუქციას, მუშაობენ ჯერ ინდივიდუალურად, შემდეგ – წყვილში, ერთმანეთს უზიარებენ აზრს. 1) სთხოვს წაიკითხონ ტექსტი და ჩაინიშნონ მთავარი დეტალები (ქართველი დედის მისია, დანიშნულება და სხვა) **(სქემებს ჩანაწერებისთვის მოსწავლეები შეარჩევენ: თვისება – არგუმენტი, მთავარი დეტალი – კომენტარი, ამონარიდი – პარალელი, მხატვრული სახე – ანალიზი და სხვა)** – 10წთ. 2) წაკითხულის შესახებ გაუზიარეთ აზრი ერთმანეთს და გაეცით წერილობითი პასუხი შეკითხვას (მასწავლებელი ურიგებს ბარათებს) – 2წთ. თუ ვინმეს დავალების შესრულება გაუჭირდა, მეწყვილეს მიმართოს. საჭიროების შემთხვევაში, შეფერხების დასაძლევად, მასწავლებელს მიმართოს. გადადიან კითხვა-პასუხზე. ბარათებში კითხვები აზროვნების დონეების მიხედვითაა დალაგებული (ბარათები მოსწავლეებს შემთხვევითობის პრინციპით გადაეცა). პასუხების გაცემის დროს მასწავლებელი, შიგადაშიგ, მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს და ეხმარება სწორი პასუხების მიგნებაში – 10 წთ.	ტექსტზე დამოუკიდებელი მუშაობა, წყვილში მუშაობა, კითხვა-პასუხი, ურთიერთსწავლება, ჩანიშვნების კეთება	ინდივიდუალური, წყვილში მუშაობა	სახელმძღვანელო, ფლიფჩარტის ფურცელი, თაბახის ფურცლები	25წთ
3) მასწავლებელი სთხოვს, თავიანთი ბარათები დაალაგონ აზროვნების პირამიდაზე (მოსწავლემ უნდა ამოიცნოს აზროვნების რომელი დონის შეკითხვა შეხვდა) – 2 წთ.				
აქტივობა III – რეფლექსია **ფიქრები და სურვილები წაკითხვის შემდეგ** მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. მასწავლებელი პროექტორით სთავაზობს საკითხებს იდეების გენერირებისათვის: **ილიას ჩანაფიქრი და დღევანდელობა;** **დედის სახე დღეს;** **მომავლის ბედთან ბრძოლის იდეა;** **როგორ გავხდეთ ჭეშმარიტების თანაზიარი?** მოსწავლეები ირჩევენ საკითხს, მსჯელობენ წყვილში და იდეებს ფერად ფურცელზე წერენ, აკრავენ ფლიფჩარტზე. მსჯელობენ რომელმა საკითხმა დაუტოვა სამომავლოდ საფიქრალი.	იდეების გენერირება, არგუმენტირებული მსჯელობა	მუშაობა წყვილში, მთელი კლასი	ფლიფჩარტი, თაბახის ფურცლები	10წთ
აქტივობა IV მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების ცხრილს, აფასებენ საკუთარი სწავლის პროცესს და სწავლის პროგრესს, მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს და აწვდის განმავითარებელ უკუკავშირს, მოსწავლეებს აფასებინებს გაკვეთილს. მასწავლებელი ავსებს მოსწავლეზე დაკვირვების სქემას.			შეფასების სქემები თაბახის ფურცლები	5წთ
საშინაო დავალება – „დედავ, ქართვლისა“ – სურვილისამებ, დაწერეთ: ესე, ჩანახატი, ლექსი, მოთხრობა ან დახატეთ სურათი.				1წთ

მოსწავლის თვითშეფასება (ივსება აქტივობების შემდეგ)

მოსწავლის დაკვირვება სწავლის პროგრესზე (ივსება გაკვეთილის დასასრულს)

აქტივობები	კრიტერიუმი	**კარგად შევასრულე** – ჩაწერე ან ჩახატე მზე	**ნაკლებად შევძელი** – ჩაწერე ან ჩახატე აგურები	**ვერ შევძელი** – ჩაწერე ან ჩახატე წიგნი კითხვის ნიშნით
I	**ჩავერთე გაკვეთილში, თავისუფლად გამოვხატე ჩემი აზრი, გამოვთქვი ვარაუდები.**			
II	**შევარჩიე სტრატეგია, რომლითაც შევძელი ტექსტის გააზრება და სწორი პასუხების გაცემა, საჭიროების შემთხვევაში დავეხმარე მეწყვილეს.**			
III	**სხვადასხვა საშუალებით (წერა, მარკირება) შევძელი ინფორმაციის გააზრება და საკუთარი აზრის გამოხატვა.**			

1. მე დღეს შევძელი.....
2. მე დღეს ვერ შევძელი.....
3. მე უნდა გავაუმჯობესო.....

მოსწავლის სახელი და გვარი.....

მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა სააზროვნო უნარ-ჩვევებზე

(პირობითი ნიშნების ჩაწერა: ხშირად ავლენს – „+“, ნაკლებად ავლენს – „-“, ვერ ავლენს – „?“)

მოსწავლის გვარი და სახელი	**I აქტივობა** ახალი იდეების მოფიქრება გამოწვევის ფაზაზე	**II აქტივობა** შეარჩევს მეთოდს, დამოუკიდებლად იაზრებს ახალ მასალას, სწორად პასუხობს კითხვებს	**III აქტივობა** შეუძლია არგუმენტირებული მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოხატვა	**IV აქტივობა** სწორად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს

მასწავლებელი: .....

რეფლექსია

VIII კლასში ჩავატარე გაკვეთილი თემაზე ი. ჭავჭავაძის „ქართვლის დედას“.

გაკვეთილის მიზანი იყო, რომ მოსწავლე დაუფლებოდა დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს, ესწავლა საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვა, მონიტორინგი და შეფასება. გამჭოლი კომპეტენციებიდან მოსწავლეებს განუვითარდებოდათ შემდეგი უნარები: სემიოტიკური, სწავლის სწავლა, წიგნიერება და სხვა.

მოსწავლეებმა შეძლეს ვერბალური და არავერბალური საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირება, ნახატის აღქმა და ინტერპრეტირება. ასევე, შეძლეს ინფორმაციის დამუშავება, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმა, რაც შედეგზე აისახა. შედეგებიდან, ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის, რომ მოსწავლეებმა შეძლეს ინფორმაციის დახარისხება დეტალებად და გაანალიზება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

ეფექტური იყო გაკვეთილზე, მიზნის მისაღწევად, გამოყენებული მეთოდები და სტრატეგიები: „ჩუმი კითხვა მონიშვნებით“, „გონებრივი იერიში“, „გონებრივი რუკა“, „ვარაუდების გამოთქმა“, „არგუმენტირებული მსჯელობა“ და „ურთიერთსწავლება“. თითოეულმა აქტივობამ გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია. ვფიქრობ, ურთიერთსწავლებამ უფრო მეტი შედეგი მომცა, დაეხმარა მოსწავლეებს ტექსტის სიღრმისეულად გააზრებაში, წყვილში მუშაობა ეფექტური იყო სუსტი მოსწავლეებისთვის, ისინი მეწყვილესთან ერთად მსჯელობდნენ, იწერდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც ზეპირ გამოსვლაში გამოიყენეს.

გამოწვევა ვიზუალურ მასალაზე დაკვირვებით დავიწყე, რაც მამოტივირებელი აღმოჩნდა. „გონებრივი იერიშის“ გამოყენებით შევძელი მოსწავლეთა კოგნიტურად ჩართვა სასწავლო პროცესში.

ტექსტის „მარკირებით კითხვამ“ გაუადვილა მოსწავლეებს ტექსტის გააზრება-გაანალიზება. საინტერესო იყო პროცესი სწავლის სწავლა. თითოეული აქტივობის ბოლოს, მოსწავლეები თვითშეფასების სქემას ავსებდნენ, რის გამოც ცდილობდნენ, მომდევნო აქტივობაში უფრო აქტიურები ყოფილიყვნენ. გამთლიანების ფაზაზე საგულისხმო იყო იდეების გენერირება, მოსწავლეებმა გამოყვეს საკითხი, რომელიც მათ სამომავლოდ ფიქრის სურვილს უტოვებდა.

საგოდელო გაკვეთილი

ბარათების გამოყენებისას, შეკითხვები შემთხვევითობის პრინციპით შეხვდა მოსწავლეს, რამაც ხელი შეუწყო მათ თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, თან, თითოეული პასუხის შემდგომ, კლასს დამატებითი შეკითხვებით ვრთავდი ტექსტის დედააზრის უფრო ღრმად წვდომისათვის. ბარათების ამგვარად გამოყენებით, მოსწავლეებმა ისწავლეს დაბალი სააზროვნო უნარებიდან მაღალ სააზროვნო უნარებზე გადასვლა.

ეფექტური აღმოჩნდა შეფასებისა და თვითშეფასების ჩემ მიერ შექმნილი ფორმები: მასწავლებლის დაკვირვება და მოსწავლეთა თვითშეფასების სქემები. მოსწავლეთა თვითშეფასების სქემა, გარდა სასწავლო პროცესზე თანდათან დაკვირვებისა, ითვალისწინებს, რომ მოსწავლემ მუდმივად ადევნოს თვალი საკუთარი სწავლის პროცესს და გამონახოს სუსტი მხარის დაძლევის გზა (რა შევძელი..., რა ვერ შევძელი..., რა უნდა გავაუმჯობესო...).

გაკვეთილმა მასწავლა მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა, მოსწავლეებმა კი ისწავლეს როგორ დაგეგმონ და წარმართონ სწავლის პროცესი.

ნანული ქათამაძე
ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა
1. matstavlebeli. ge – ინტერნეტგაზეთი;
2. ncp. ge – ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი.

თვალსაზრისი

მოსწავლეთა შეფასება
პრობლემები და გადაჭრის გზები

შეფასება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ტარდება ტრენინგები, ქვეყნდება მასალები, ქართველი მასწავლებლები აღიარებენ, რომ შეფასება მათი აქილევსის ქუსლია, განსაკუთრებით – განმავითარებელი შეფასება, არადა სწორედ ეფექტური განმავითარებელი უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეს, გაიგოს და გაიაზროს თავისი აკადემიური მიღწევებისა და უნარების ხარისხი. მასწავლებლები, ძირითადად, განმსაზღვრელ შეფასებას მიმართავენ და ხშირად მიმდინარე ტესტირებებზეც და შემაჯამებელ სამუშაოებშიც მოსწავლეებს სთავაზობენ ერთფეროვან დავალებებს (ძირითადად, დახურული კითხვებით), რომლებითაც შეუძლებელია შედეგის გაზომვა, მაშინ, როდესაც, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად გამოყენებისკენ. გარდა ამისა, ქართველი მოსწავლეებისა და მშობლების გარკვეული ნაწილისთვის ნიშანი ლამის კულტად იქცა. ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის მაღალი ქულა გარეგანი მოტივატორია. მშობლები ერთმანეთთან ტრაბახობენ თავიანთი შვილების ნიშნებით, რომლებიც, უმეტესწილად, არაობიექტურადაა დაწერილი, ვინაიდან ხშირად ნიშნები მოსწავლეთა შედარების საფუძველზე იწერება. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მოსწავლისა და მშობლისთვის განმავითარებელი შეფასების ცნებაც კი უცნობია.

იმას, რომ განმავითარებელი შეფასება მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა, ადასტურებს საერთაშორისო გამოცდილებაც. ის ქვეყნები, რომლებშიც უპირატესობას შეფასების განმავითარებელ ფორმატს ანიჭებენ, სწავლის შედეგებითაც გამოირჩევიან. ამერიკისა და ევროპის ბევრ ქვეყანაში განათლების სისტემისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება, მათში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება. აქედან გამომდინარე, მათთვის პრიორიტეტული განმავითარებელი შეფასებაა და მასწავლებლები ამ ტიპის შეფასების მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით აღწევენ სასურველ მიზნებს. სკოლის დამთავრებამდე არ ტარდება არანაირი ტესტირებები და გამოცდები. შეფასების სისტემა ისეა აწყობილი, რომ მოსწავლეებისთვის ეს პროცესი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მოტივატორი იყოს და – არა სტრესისა და ნერვულობის საფუძველი.

რა თქმა უნდა, განათლების მიმართულებით წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება აუცილებლად წაადგება ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის შეფასების სისტემას, სადაც უამრავი პრობლემაა დაგროვილი.

მოსწავლეთა შეფასების პროცესში წამოჭრილი პრობლემები:

- მასწავლებლები, სასწავლო პროცესში, განმავითარებელ შეფასებას საერთოდ არ იყენებენ ან იყენებენ ძალიან იშვიათად;
- მასწავლებლები არ იცნობენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (მიმართავენ მხოლოდ ზეპირ კომენტარებს);
- შეფასება არ არის გამჭვირვალე: მოსწავლეები წინასწარ არ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს;
- მასწავლებლები წინასწარ არ გეგმავენ გაკვეთილებს (შესაბამისად, არ აქვთ განსაზღვრული, რა დროს მოანდომებენ შეფასებას, რის გამოც ვერ ასწრებენ გაკვეთილის ამ კომპონენტს);
- ხშირად შეფასება ზოგადი ხასიათისაა, არაა კონკრეტული (მაგ.: კარგი ნაშრომია! მოსწავლემ არ იცის, რა გააკეთა კარგად);
- მასწავლებლები ერთმანეთს ადარებენ მოსწავლეთა ნაშრომებს, რაც, ხშირად, მათ მოტივაციას უკარგავს;
- მასწავლებლები, ხშირად, განმსაზღვრელ შეფასებას მიმართავენ, რადგან ეზარებათ შეფასების სქემებისა და რუბრიკების მომზადება;
- მასწავლებლები ვერ ფლობენ შეფასების რუბრიკებისა და სქემების შედგენის ტექნიკას.

მოსწავლეთა შეფასების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზები:

- მასწავლებლებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი კომპეტენციები ამ მიმართულებით (ლიტერატურის გაცნობა, ტრენინგები...);
- სისტემატურად უნდა დაგეგმონ გაკვეთილები, სადაც ასახავენ შეფასების ფორმებს;
- შეფასების პროცესში აქტიურად ჩართონ მოსწავლეები, შექმნან შეფასების რუბრიკები მათი თანამონაწილეობით;
- სასწავლო პროცესში გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი სტრატეგიები;
- მასწავლებლებმა მოსწავლეებს განუვითარონ თვითშეფასებისა და თანაშეფასების უნარები, შესაბამისი კითხვარების გამოყენებით;
- მოსწავლეებს მისცენ კონკრეტული შეფასებები, მოსწავლეს უნდა მიეთითოს, რაში რამდენი ქულა დაიმსახურა და რატომ.

რამდენიმე მაგალითი ჩემი პრაქტიკიდან:

ძალიან ხშირად ვიყენებ ზეპირ უკუკავშირს, რომელიც ყოველთვის იწყება პოზიტიური კომენტარებით (მაგ., „პირველ რიგში, მადლობა იმისთვის, რომ დავალება შეასრულე!“ ან „ძალიან მომეწონა შენი დავალება“ და სხვ. (ამგვარი შექება მოსწავლეს უმაღლებს მოტივაციას). შემდგომ მოსწავლეს თვითონვე ვაძლევ შეცდომის გამოსწორების საშუალებას: „ერთგან გაგეპარა შეცდომა, გადახედე და სცადე, აღმოაჩინო“ (ხშირად ვუკონკრეტებ, რა ტიპის შეცდომაა, მაგ., პუნქტუაციური, ორთოგრაფიული, ან კიდევ: „შეცდომა დაშვებული გაქვს გადატანისას, დააკვირდი, აღმოაჩინე და გაასწორე“ და ა.შ.).

ხშირად მივმართავ წერილობით უკუკავშირს. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსწავლეები უშვებენ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიულ, სინტაქსურ, პუნქტუაციურ შეცდომებსა და სტილისტურ ხარვეზებს. ერთი მაგალითი: სწორია – უამრავი პრობლემა, მცდარია – უამრავი პრობლემები (სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელს საზღვრული მხოლობით რიცხვში ეწყობა). ბოლოს გავცემ რეკომენდაციებს, თუ როგორ, რა გზით გააუმჯობესონ შედეგები (მაგ., გაიმეორე რიცხვითი სახელის მართლწერის საკითხები, თხზულებაში აუცილებლად გამოხატე შენი პოზიცია პრობლემის მიმართ და სხვ.).

აქტიურად ვიყენებ თვითშეფასების სქემებს, რომლებიც მოსწავლეებს ძალიან ეხმარება ნინსვლაში. ხშირად შევიმუშავებ ისეთ რუბრიკებს, რომლებიც უშუალოდ გაკვეთილის მიზნებზე დაყრდნობითაა მომზადებული. ასეთი სქემები მოსწავლეებს უადვილებს თვითშეფასების პროცესს. აქტიურად ვიყენებ თანაშეფასებასაც, რაც მოსწავლეებს ცოდნის გამეორება-განმტკიცებასა და შეფასების უნარის განვითარებაში ეხმარება. ვახსენებ, რომ, თავდაპირველად, კლასელის ძლიერი მხარეები შეაფასონ და მხოლოდ ამის შემდეგ მიუთითონ შეცდომებზე.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მეხუთე კლასის პირველ სემესტრში გაუქმდა განმსაზღვრელი შეფასება, ეს გადაწყვეტილება პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა – არასაკმარისი. ვფიქრობ, დაწყებით საფეხურზე (და არა მარტო) ნიშნების წერა საერთოდ უნდა გაუქმდეს და მოსწავლეთა შეფასებისას მხოლოდ განმავითარებელი ფორმატი გამოვიყენოთ.

განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. შესაბამისად, ის უნდა ვაქციოთ ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკის აუცილებელ კომპონენტად.

მარინე კვარაცხელია
აკ. ეგნატე ფიფიას სახ. წალენჯიხის ჩქვალერის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024;
2. ნინო ლაბარტყავა, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, ჟურნალი „მასწავლებელი“, 15 ოქტომბერი, 2014 http://mastsavlebeli.ge/?p=1869;
3. სოფო გორგოძე, ეფექტური განმავითარებელი შეფასება, ჟურნალი „მასწავლებელი“, 26 ოქტომბერი, 2016 http://mastsavlebeli.ge/?p=11953.

მათემატიკის პედაგოგთათვის

როგორ დავადგინოთ აცდენილია თუ არა წრფეები

წინა წერილში განვიხილეთ ორ აცდენილ წრფეს შორის მანძილის მოძებნის ერთ-ერთი ხერხი. ვიდრე გადავიდოდეთ ამოცანებში ამ ხერხის გამოყენებაზე, შეგახსენებთ რამდენიმე თეორიულ მასალას და თავად მანძილის მოძებნის ალგორითმს.

ორ წრფეს, რომლებზედაც სიბრტყე არ გაივლება, აცდენილი წრფეები ეწოდება. აცდენილ წრფეთა ნიშანი: ორი წრფე აცდენილია, თუ ერთ-ერთი კვეთს მეორე წრფეზე გამავალ რაიმე სიბრტყეს ამ წრფეზე არამდებარე წერტილში (ნ. ჯაფარიძე, მ. წილოსანი, ნ. წულაია. „მათემატიკა 10“).

მანძილი ორ აცდენილ წრფეს შორის ტოლია ამ წრფეების იმ სიბრტყეზე ორთოგონალურ პროექციებს შორის მანძილისა, რომელიც გადის ერთ-ერთი წრფის მართობულად, ანუ *ავაგოთ (ან მოვძებნოთ უკვე არსებული) ერთ-ერთი წრფისადმი მართობული სიბრტყე. მათი გადაკვეთის წერტილი იქნება ამ წრფის გეგმილი აგებულ სიბრტყეზე. შემდეგ ამავე სიბრტყეზე ავაგოთ (ან აღმოვაჩინოთ უკვე არსებული) მეორე წრფის გეგმილი. პირველი წრფის გეგმილიდან, ანუ პირველი წრფის სიბრტყესთან გადაკვეთის წერტილიდან, დავუშვათ მეორე წრფის გეგმილზე მართობი. იგი იქნება საერთო მართობი.*

განვიხილოთ რამდენიმე ამოცანა, რომელთა ამოხსნას აადვილებს ზემოთ მოყვანილი დებულება. ყველა ამოცანაში შემოვიფარგლებით აცდენილი წრფეების საერთო მართობის მოძებნით. აქ მოვიშველიებ ჯორჯ პოიას სიტყვების ჩემეულ თარგმანს: „თუ გინდათ ისწავლოთ ცურვა, თამამად შედით წყალში, თუ გინდათ ისწავლოთ ამოცანების ამოხსნა, მაშინ ამოხსენით ისინი“ (ჯ. პოია, „მათემატიკური აღმოჩენა“).

ამოცანა 1 (**ამოცანა 2**): ვიპოვოთ მანძილი წესიერ ოთხკუთხა (ან მართკუთხა) პრიზმის გვერდით წიბოსა და ფუძეში მდებარე მის არაგადამკვეთ დიაგონალს შორის (ნახ. 1-2). უნდა ვიპოვოთ AA_1 და DB_1 შორის. AA_1 წიბო ფუძის მართობულია. A_1 წერტილი მისი გეგმილია. DB_1-ის გეგმილი ფუძის სიბრტყეზეა ფუძის DB დიაგონალი. AO (მართკუთხა პრიზმაში AK) მონაკვეთი AA_1 და DB_1 საერთო მართობია და AC დიაგონალის ნახევარი.



ნახ. 1



ნახ. 2

შემდეგ ამოცანებს მკითხველი ადვილად გაუმკლავდება.

ამოცანა 3: ABC სამკუთხედის DB სიმაღლეა მანძილი მართი სამკუთხა პრიზმის BB_1 და AC წიბოებს შორის (ნახ. 3).

ამოცანა 4: MN მონაკვეთია SABC წესიერი პირამიდის SC და AB აცდენილი წრფეების საერთო მართობი (ნახ. 4).



ნახ. 3



ნახ. 4

ამოცანა 5: MK მონაკვეთია დახრილი $ABCA_1B_1C_1$ პრიზმის AA_1 და BC წიბოების საერთო მართობი, სადაც AM მონაკვეთი BC მონაკვეთის მართობულია და AA_1-ის გეგმილია ფუძის სიბრტყეზე AM (ნახ. 5).



ნახ. 5

ამ სტატიაში წარმოდგენილი ხერხი იოლი ასათვისებელია არა მარტო იმ მოსწავლისთვის, რომელიც ადვილად უმკლავდება გეომეტრიულ ამოცანებს, არამედ იმისთვისაც, ვისაც უჭირს სტერეომეტრიულ ამოცანებში ორიენტირება.

ნინელი ადამაშვილი
სსიპ თბილისის №83 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ნ. ჯაფარიძე, მ. წილოსანი, ნ. წულაია. „მათემატიკა 10“;
2. ჯ. პოია, „მათემატიკური აღმოჩენა“.

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

~~10 ლარი~~
7 ლარი

~~9 ლარი~~
6 ლარი

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული ენიერაფიული
პრობა ლექსიკონის
შემსწავლელთათვის



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული
ტექსტი და ანალიტიკური
გზამკვლევი

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

19 ლარი

19 ლარი

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალბათობისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა



15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

მასწავლებლებს! უნიკალური შესაძლებლობა მარტივად მოემზადოთ გამოცდისთვის! კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო



6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

სასწავლო პროექტები

11 ლარი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი